645
1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1974 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# მეგობრობის ვიზიტები

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი—



ინდოეთში

ლ. ი ბრეჟნევი და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი პალამის აეროდრომზე

კუბაში



ჰავანა. ლ ი. ბრეჟნევი და კუბის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!

# შთამაგონებელი დოკუმენტი

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი დარწმუნებულია, რომ ჩვენი საბჭოთა ქალები, რომლებმაც თავიანთი თავდადებული შრომითა და ყოველდღიური ზრუნვით ბავშვთა აღზრდისათვის მაღალი საზოგადოებრივი მადლიერება დაიმსახურეს, დიდ წვლილს შეიტანენ ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში".

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი)

12403

ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის მთელ მანძილზე პარტიისა და საბჭოთა ხალხის, გონებრივი და ფიზიკური შრომის ყველა მუშაკის აღმაფრთოვანებელ, შთამაგონებელ და მაორგანიზებელ დოკუმენტად დარჩება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი".

ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტის მგზნებარე სტრიქონებში ჩაქსოვილია ცხოვრებისეული სიბრძნე, ადამიანური სითბო და სიყვარული. ეს დოკუმენტი ნათელ წარმოდგენას იძლევა განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელთა გმირულ შემართებაზე და იმ მიღწევებზე, რომლებიც მოპოვებულია ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს. 1978 წელი ახალი მიჯნების აღებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში. ასევე ძვირფასი იყო იგი ლენინური საგარეო პოლიტიკის ქმედითობის თვალსაზრისითაც.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და პირადად ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელმა მზრუნველობამ სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული მშვიდობის პროგრამის, ჩვენი ქვეყნის ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელების უზრუნველსაყოფად დიდმნიშვნელოვანი დადებითი ძვრები გამოიწვია მსოფლიო ასპარეზზე. მოხდა იმედისმომცემი შემობრუნება „ცივი ომისა" და „ძალის პოზიციის" პოლიტიკიდან დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებისაკენ. დაძაბულობის შენელება და მსოფლიოს ხალხთა უშიშროების განმტკიცება კი ხელსაყრელ საერთაშორისო პირობებს ქმნის ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დაჩქარებისათვის.

ჩვენი მუშათა კლასის გმირული შემართების ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ გასულ წელს გეგმის გადამეტებით გამოშვებულია შვიდ მილიარდზე მეტი მანეთის პროდუქცია. საგულისხმოა, რომ სამრეწველო წარმოების მატების ოთხ მეხუთედზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებით.

დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა. მიღებულია 18 მილიარდ ფუთზე მეტი მარცვლეული. პურისა და სხვა მარცვლეული კულტურების ასეთი უხვი მოსავალი წინათ არასოდეს არ მიგვიღია. მნიშვნელოვნად გაიზარდა ხამი ბამბის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ჩაისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა, რაც სულ უფრო ცხადყოფს სოციალისტური წყობილების დიდ უპირატესობას კაპიტალისტურთან შედარებით, განპირობებულია მთელი ჩვენი ხალხის, მათ შორის საბჭოთა ქალების ბეჯითი შრომით.

— ყველაფერი, რასაც დღეს მივაღწიეთ, — ნათქვამია მიმართვაში, — ძვირფასო ამხანაგებო, ჭეშმარიტად თქვენი ოქროს ხელის, თქვენი მაძიებელი გონებისა და შემოქმედებითი მეცადინეობის შედეგია.

პარტია და მთავრობა, რომლებიც უნარიანად წარმართავენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, ენერგიულად ზრუნავენ მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. სულ უფრო იზრდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი, მათი შრომის ანაზღაურება. ხუთწლედის სამი წლის განმავლობაში ახალ ბინებში შესახლდა 34 მილიონზე მეტი საბჭოთა მოქალაქე.



კ. მარქსის სახ. საქ.
სახელმწიფო რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პარტიის და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული, საზოგადოებრივი მოვალეობის მაღალი შეგნებით შთაგონებული საბჭოთა ადამიანები საგეგმო დავალებების, ნაკისრი ვალდებულებებისა და შემხვედრი გეგმების შესასრულებლად ნაყოფიერად მუშაობენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, მაღაროებსა და შახტებში, ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში, მინდვრებსა და ფერმებში, რითაც სულ უფრო განამტკიცებენ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებას, ზრდიან სოციალიზმის მიზიდულობის ძალასა და ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტს.

სსრ კავშირის წარმატებები გულწრფელად ახარებს და აღაფრთოვანებს ჩვენს მეგობრებს კაპიტალისტურ სამყაროში. შთამბეჭდავად გაისმის სახელგანთქმული ესპანელი რევოლუციონერის დოლორეს იბარურის სიტყვები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების 50 წლისთავთან დაკავშირებით: „ჩვენი პლანეტის ყველა კონტინენტის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ადამიანთა თვალები იმედითა და ნდობით არის მიპყრობილი მოსკოვისაკენ, საბჭოთა კავშირისაკენ“.

სკკპ XXIV ყრილობაზე სირიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ხალედ ბაგდაშმა განაცხადა, „თქვენი მიღწევები მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის დარგში, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, გრანდიოზული პერსპექტივები, რასაც სახავს ახალი ხუთწლიანი გეგმა, სიხარულით აღავსებს მუშებისა და გლეხების გულებს, რევოლუციონერთა გულებს ჩვენს პატარა ქვეყანაში — სირიაში, მთელს არაბულ სამყაროში, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში“.

ამიტომ არის, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი დიდ ამოცანებს უსახავს და ახალი შრომითი გმირობისაკენ მოუწოდებს საბჭოთა ხალხს, ამიტომაც არის, რომ ჩვენი ხალხი მთელი ენერგიით შეუდგა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ მოწონებული და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის მიერ მიღებული სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლას.

„1974 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში, — **განმსაზღვრელი მნიშვნელობა ექნება არა მარტო ამ ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის, არამედ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯიც გახდება მომავალ ხუთწლეულში ეკონომიური პოტენციალის შემდგომი ზრდისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების მტკიცე საფუძვლის შექმნის გზაზე**“.

ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს დასახულია სამრეწველო წარმოების მოცულობის ზრდა 6,8 პროცენტით 1973 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობის გადიდება 7,3 პროცენტით, ეროვნული შემოსავლის მატების 87 პროცენტის მიღება შრომის ნაყოფიერების გადიდებით. დასახული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის მიზნით პარტია მოუწოდებს ჩვენს ხალხს, ყველა კოლექტივს, თითოეულ მუშაკს შემოქმედებითი მიდგომისა და ინიციატივის ფართო განვითარებისაკენ, ორგანიზებულობისა და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლებისაკენ.

ახლა მთავარია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვისა და სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა საფუძველზე ფართოდ გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება, გავაძლიეროთ მისი ქმედითობა, ვიმუშაოთ დღეს უკეთ, ვიდრე გუშინ, საგეგმო დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება კანონად ვაქციოთ თითოეული კოლექტივისათვის, თითოეული მუშაკისათვის, ვიმუშაოთ ლოზუნგით — **მეტი და უკეთესი ხარისხის პროდუქცია ნაკლები დანახარჯებით!**

კომუნიზმის მშენებლობის ახალი მიჯნების აღება, ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების გადაჭარბებით შესრულება მთლიანად დამოკიდებულია თითოეული საბჭოთა ადამიანის შემოქმედებითს უნარზე, მაღალ შეგნებულობაზე, პროფესიულ მომზადებაზე, პასუხისმგებლობის გრძნობასა და დისციპლინაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ ჩვენი გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია, მთელი საბჭოთა ხალხი, კომუნისტები და უპარტიო მოქალაქეები უნარიანად გამოიყენებენ თავიანთ შემოქმედებითს ნიჭსა და ენერგიას, ცოდნასა და გამოცდილებას და დამკვრელური შრომით უზრუნველყოფენ ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების ვადამდე შესრულებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო დადგენილება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვასთან დაკავშირებით“. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, რომელმაც რესპუბლიკის მშრომელებში უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა გამოიწვია, არის უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტი.

რესპუბლიკის მშრომელებს კანონიერი სიამაყის გრძნობას აღუძრავს ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტ წელს მოპოვებული მიღწევები როგორც სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების შესრულების, ისე მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. ბევრი რამ გაკეთდა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გასაუმჯობესებლად, პარტიული, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად, მინდობილი საქმისადმი პირადი პასუხისმგებლობის გასაძლიერებლად, პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების ბრძოლისუნარიანობის ასამაღლებლად, ჩვენი ცხოვრების ანტიპოდების — ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოსაფხვრელად. მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ კარგი დასაწყისია, პირველი ნაბიჯებია და არ არის არავითარი საბაბი აღებული კურსის შენელებისათვის, თვითდამშვიდებისა და მოდუნებისათვის.

დადგენილებაში ნათქვამია: „საქართველოს კომუნისტურ პარტიას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს მოელის უფრო დიდი და საგულდაგულო მუშაობა სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროების ხელმძღვანელობაში სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის, არაკომპეტენტურობისა და ზერელობის შედეგების აღმოფხვრისათვის. უფრო მეტი შეუპოვრობით და სიმტკიცით უნდა ვაწარმოოთ უკომპრომისო, გადამწყვეტი და პრინციპული ბრძოლა უდისციპლინობის, მოშვებულობის, ბიუროკრატიზმის, ყოყოჩობისა და თვითდამშვიდების, კადრების პოლიტიკის ლენინური პრინციპების დარღვევის, საზოგადოებრივი აზრის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის უგულებელყოფის, მფლანგველობის, საზოგადოებრივი წესრიგის ყოველნაირი დარღვევების, მექრთამეობის, ძალაუფლების, ხალხის ნდობის ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. დიდი მუშაობა უნდა გავწიოთ იმისათვის, რომ ყველგან შეიქმნას კომუნისტური ზნეობისა და მორალის ნორმების ყოველგვარი დარღვევებისა და გადახრებისადმი საზოგადოებრივი შეურიგებლობის ვითარება“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის თანმიმდევრულ, შემტევ კურსს წარსულის მავნე გადმონაშთების აღსაკვეთად, პატიოსნების, კეთილსინდისიერების დასამკვიდრებლად, კომუნისტური შრომის სადიდებლად იწონებენ, მიესალმებიან და მხარს უჭერენ რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასები. კეთილშობილურ შრომაში მათ აღაფრთოვანებთ და ძალას ჰმატებთ პარტიისა და მთავრობის მაღალი დაფასება — საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გასულ წელს მოპოვებული მიღწევებისათვის ჩვენი რესპუბლიკის წითელი დროშით დაჯილდოება.

რესპუბლიკის მშრომელებმა 1974 წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა უნდა გაადიდონ 9,4 პროცენტით, უნდა აწარმოონ 285 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 410 ათასი ტონა ყურძენი, 712,4 ათასი ტონა რძე, 200 ათასი ტონა ხორცი ცოცხალი წონით.

ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა ვადამდე შესასრულებლად რესპუბლიკაში სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოცი-

# ჩვენი სოციალისტური შრომის გმირები

ალისტური შეჯიბრება და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებული მშრომელები უნარიანად იყენებენ სოციალისტური შრომის ნაცად ფორმებს და იჩენენ ახალ ინიციატივას.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა თბილისის მოწინავე საწარმოების — დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის, ქარხანა „მაგნიტოფონისა" და კერამიკული კომბინატის კოლექტივების ინიციატივა. ამ კოლექტივებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის პასუხად გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება დევიზით: „ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს — დამკვრელური შრომა!"

დიდი წარმატებით გრძელდება საყოველთაოდ ცნობილი პატრიოტული წამოწყება ლოზუნგით — „ხუთი დღის დავალება ოთხ დღეში!", რომლის ინიციატორები არიან სახელოვანი ქართველი ქალები, თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრთველი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მზია არათანაშვილი და რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხნის მძახავი, სოციალისტური შრომის გმირი ელენე კოწიაშვილი. სულ უფრო იზრდება მათი მიმდევრების რიცხვი.

სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობის გაძლიერების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა საჭიროდ ცნო ყოველთვიურად შეჯამდეს სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შედეგები ცალკე მრეწველობის, მშენებლობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგებში. ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური და მორალური წახალისების ფორმების გამოყენებას.

პარტიამ და მთავრობამ გასული წლის შედეგების მიხედვით ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვეს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მოწინავეთა დიდი ჯგუფი. ბევრ მათგანს სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. მათ შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებული ქალებიც.

სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭებითა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვით აღფრთოვანებული ნოვატორი, ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი საამქროს მეკუპაჟე ბაბუცა ლაგვილავა ახალი ენერგიით ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლედის განმსაზღვრელი წლის დავალებათა გადაჭარბებით შესასრულებლად.

— პარტიამ და მთავრობამ დიდად დააფასეს ჩემი შრომა, — ამბობს სოციალისტური შრომის გმირი, ხაშურის რაიონის სატივის კოლმეურნეობის წევრი მარგარიტა ლონდაძე. — ამ მაღალ ჯილდოს, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმართვას იმით ვუპასუხებ, რომ მიმდინარე წელს გეგმით გათვალისწინებული 127 ცენტნერის ნაცვლად 250 ცენტნერ შაქრის ჭარხალს მივიღებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებით დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს კომუნისტებს. მათგან მოითხოვს იყვნენ მუდამ წინ, იყვნენ იქ, სადაც უფრო მეტი სიძნელეებია, მოახმარონ თავიანთი ცოდნა და უნარი ხალხს, ბრძოლას მისი ინტერესებისა და ბედნიერებისათვის. ეს მოთხოვნა შეეხება ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტ ქალებსაც. მათი რიცხვი კი საკმაოდ დიდია. 1974 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით საქართველოს კომპარტიის რიგებში ირიცხება 74.470 ქალი. ეს მთელი არმიაა, რომელზე დაყრდნობითაც შეიძლება მძლავრი იერიშების მიტანა კომუნიზმის მშენებლობის ფრონტზე და ახალ-ახალი ზღუდეების აღება ხუთწლედის მეოთხე განმსაზღვრელ წელს.

მაშ, ვიდგეთ მაღალი მოწოდების დონეზე, რესპუბლიკის სახელოვანო პატრიოტო ქალიშვილებო, ჩვენო დებო და დედებო! თქვენს გამრჯე ოქროს ხელებზე, თქვენს მაძიებელ გონებასა და შემოქმედებით ნიჭზე, თქვენს შეგნებულობასა და ბრძოლისუნარიანობაზე, გულისხმიერებასა და მზრუნველობაზე, თქვენს სიყვარულსა და სითბოზე დიდად იქნება დამოკიდებული ხუთწლედის დავალებათა და ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულება, კომუნიზმის მშენებლობაში საამაყო მიღწევების მოპოვება.

**ა. ჩაჩლეიშვილი,**

ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.



ელენე გორგაძე — ლაგოდეხის რაიონის სოფელ ცოდნის-კარის კოლმეურნეობის მეთამბაქოე.



ალექსანდრა ვოუბა — ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიე.



გუგული ქადეიშვილი — მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიე.



ნადია ჯინჯარაძე — ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკას კოლმეურნეობის მეჩაიე.



ბაბუცა ლაგვილავა — ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის დამხარისხებელი საამქროს მეკუპაჟე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა საერთაშორისო წლის შესახვედრად

გასული წლის ოქტომბრის ბოლოს მოსკოვში ჩატარდა მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 143 ქვეყნის 3 ათასზე მეტმა დელეგატმა. ისინი წარმოადგენდნენ დაახლოებით 1.100 პოლიტიკურ პარტიას, ეროვნულ ორგანიზაციას და მოძრაობას.

ეს იყო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მშვიდობისმოყვარე ძალების ყველაზე დიდი და ყველაზე მნიშვნელოვანი კონგრესი, რომელიც კი ოდესმე შეკრებილა.

კონგრესზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა ლ. ი. ბრეჟნევმა. მისი სიტყვა შეიცავდა თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ღრმა და ყოველმხრივ ანალიზს. ლ. ი. ბრეჟნევმა მიუთითა კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც აუცილებელია განხორციელდეს, რათა საერთაშორისო ვითარების დასახულმა განმუხტვამ მიიღოს შეუქცევადი ხასიათი.

მშვიდობისმოყვარე ძალების მსოფლიო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდა 81 ქვეყნის 97 ქალთა ეროვნული და 9 საერთაშორისო ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელები და წარმომადგენლები გამოვიდნენ კონგრესზე მთელ რიგ საკითხებზე, რომლებსაც პრინციპული მნიშვნელობა აქვთ ეროვნული განთავისუფლების, დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ხალხთა შემდგომი ბრძოლისათვის.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტმა ჰერტა კუუსინენმა, რომელმაც სიტყვა წარმოთქვა კონგრესის პლენარულ სხდომაზე, აღნიშნა, რომ მშვიდობის მომხრეთა წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების გადაწყვეტა მოითხოვს, როგორც მთავრობათა, ასევე საზოგადოებრივი ძალების ღონისძიებების გამრავლებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მთავრობათაშორისო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციების ყოველმხრივი ეფექტური თანამშრომლობა. ეს ერთ-ერთი კონკრეტული ფორმაა მსოფლიოს საქმეებში საზოგადოებრივი ძალების მონაწილეობისა. საერთაშორისო ორგანიზაციები — პროფკავშირული, ქალთა და ახალგაზრდობის ორგანიზაციები — ასობით მილიონ ადამიანს აერთიანებენ და დიდ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. საერთაშორისო ორგანიზაციების განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ქალთა და ბავშვთა მდგომარეობა.— განაცხადა ჰ. კუუსინენმა.

29 ოქტომბერს კონგრესის ფარგლებში გაიმართა ქალთა საერთაშორისო და ეროვნული ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და წარმომადგენლების შეხვედრა. მისმა მონაწილეებმა განიხილეს ქალთა ორგანიზაციების თანამშრომლობის საკითხები კონგრესის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, აგრეთვე 1975 წლისათვის მზადების საკითხი. როგორც ცნობილია, 1975 წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XXVII სესიამ გამოაცხადა ქალთა საერთაშორისო წელიწადად.

მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებმა აღნიშნეს ქალთა საერთაშორისო წლის ჩატარების სერიოზული მნიშვნელობა, მისი მიზანია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების მიპყრობა ქალთა პრობლემისადმი და ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ბრძოლის გაძლიერება. როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე ქალთა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის საკითხების განხილვისას ხაზგასმით იქნა აღნიშნული დიდი მნიშვნელობა ამ თანამშრომლობის განხორციელებისა ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა სხვადასხვაობის პატივისცემის სულისკვეთებით.

შეხვედრის მონაწილეებმა თანამშრომლობის კოორდინაციის მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნიეს შეექმნათ მუშა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, ქალთა საერთაშორისო ლიგის — „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის", ქალთა საერთაშორისო საბჭოს, იურიდიული პროფესიების ქალთა საერთაშორისო ფედერაციის, სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენციის, სრულიად არაბეთის ქალთა ფედერაციის, ყველა ერის დედათა საერთაშორისო ორგანიზაციის, ქალთა კოპენჰაგენის შეხვედრების კავშირის ბიუროს წარმომადგენლები. ამ ჯგუფის კარები ღიად რჩება, რომ მასში შევიდნენ სხვა საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან ქალთა საერთაშორისო წლისთავის მზადების პრობლემებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩესი ლეჟბიშვილი

# დედა-შვილები

მხატვარი ლია სვანიძე

არა, ეს პიესა არ არის — ნამდვილი ამბავია, დიალოგებით მოთხრობილი. ოღონდ, თხრობა რომ არ გამიგრძელდეს, ჩამოვთვლი მოქმედ პირებს:

დ ე დ ა — თ ა მ ა რ ი, თათუ (ეს სასიყვარულო მეტსახელია), რვა შვილის დედა.

მ ზ ე ქ ა ლ ა — მისი უფროსი ქალიშვილია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ერთი შვილის დედა. ქუთაისში ცხოვრობს.

ფ ი ქ რ ი ა — ქიმიკოსია, უმცროსი მეცნიერი მუშაკი, გაუთხოვარი. სოხუმში ცხოვრობს.

ტ ა რ ი ე ლ ი — ფიქრიას ტყუპისცალია, ფიზიკოსი, დოცენტი, ერთი შვილის მამა. ისიც სოხუმში ცხოვრობს.

ფ ო თ ო ლ ა — ისტორიკოსია, ორი შვილის დედა. საგარეჯოშია ქმართან.

ნ ა მ ე ტ ი — ეკონომისტია, ფოთოლას ტყუპისცალი. ისიც ერთი შვილის დედაა, ლენინგრადში ცხოვრობს.

ა ვ თ ა ნ დ ი ლ ი — აგრონომია, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რაისაბჭოს დეპუტატი, თელავის რაიონის სოფელში უდევს ბინა.

ვ ა ჟ ა — პიანისტია, მრავალგზის ლაურეატი, კიევის კონსერვატორიის დოცენტი. უცოლშვილოდ ბერდება.

ა კ ა კ ი — მოსკოვის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერმუშაკია. ცოლგანაშვები.

ა მ ი რ ა ნ ი — თათუს მეუღლეა.

და, ბოლოს, გიორგი — ტაქსის მძღოლი.

* * *

— ახლა ხომ ხარ ბედნიერი. რვა შვილის მამა.

— ბედნიერი და ეგრე? ქალი ვარო, შენ უნდა დაიკვეხო.

— რვა შვილის დედა... სათქმელად ადვილია, ვინ დაიჯერებს. ჩვენ ასე ახალგაზრდები და...

— სწორედ რომ ეგ არის მთელი მადლი...

— რვა შვილი!

— ოთხი ბიჭის მამა, თათუ, ოთხი!...

— მარტო ბიჭების?! გოგონებს ხვალვე საბავშვო სახლში მივაბარებ.

— რას ამბობ, გაგიჟდი? მე აღარ მეკითხები?!

— აკი მარტო „ბიჭების მამაო“?

— აბა, აბა, ეგ არ მითქვამს. უყურე, რა ჭორი მომიგონა!

— მაშ გოგონებიც გიყვარს?

— მიყვარს რომელია... მაგათ შემოევლოთ ჩემი სიცოცხლე. ახლა შენც აღიარე, ხომ ძალიან გიყვარვარ?

— რაც დრო გადის, სულ უფრო...

— თუ ჩემი თათუ ხარ, დაწვრილებით მიამბე რა...

— არა, არა, მაგას ვერ შევძლებ...

— რატომ, თათუ, რატომ?...

— შენი სიყვარული შიგნითა მაქვს... გულის სიღრმეში. თქმით კი ვერ მოგიხერხებია.

— მე კი შემიძლია... გინდა ფანჯარა გამოვაღო და საქვეყნოდ ვიყვირო: მიყვარს, ძალიან მიყვარს ჩემი თათუ!..

— ვიცი, ვიცი შენი შლეგიანობა. არ გაგიჭირდება...

* * *

თ ა მ ა რ ი: (ლოგინად ჩავარდნილი) — ღმერთო შენ მიშველე... ეს რა დღეში ვარ? სადა ვარ? მღვიძავს, თვალებს კი ვერ ვახელ, ხელი ვერ გამინძრევია. ალბათ, მაჯლაჯუნა დამაწვა... წყეულიმც იყავი! მომშორდი, მომცილდი, რას მერჩი? რა გინდა ჩემგან?

* * *

— ღმერთო ჩემო, სად მიდიხარ, ამირან, სად?!

— დაიწყო, თათუ, დაიწყო!

— მერე, მე ვის ანაბრად მტოვებ?!

— არ მინდა ქვეყანა დაპატარავდეს, თათუ!

— შვილებს ვისღა უტოვებ? ერთიმეორეზე პატარებს?!

— მაგათთვის მივდივარ, თათუ!

— რა გამაძლებინებს უშენოდ?..

— ვიცი, გაგიჭირდება, თათუ...

— რვა შვილის შენახვას მე ვერ ვითავებ, ვერა...

— ვაიმე, შვილებო!..

— ვისაც რაც გინდა ის უთხარი, ოღონდ მე შენი გამშვები არა ვარ, არა!

— რომ არ წავიდე, თვითონვე შემიძულებ, თათუ...

— ხომ დაბრუნდები?

— ომია, თათუ, ომი!

— რვა შვილი გელოდება!

— ცხრა სიცოცხლე... შენც, თათუ!..

— ოღონდ დაგვიბრუნდი, ოღონდ დაგვიბრუნდი!..

— ო-მი-ა, თათუ, ო-მი!

* * *

— წყალი, წყალი... ერთი ჭიქა ცხელი ჩაი... თინა!.. მართა!..

— ახლავე, ახლავე, შენი ჭირიმე... აბა, გადაყლაპე!..

— რომელი ხარ?!

— მე ვარ, გიორგი.

— გიორგი?! გიორგი?!

— ჰო, გიორგი. რა იყო, ისე გაიკვირვე, თითქოს ეს სახელი პირველად გესმენოდეს!..

— გიორგი! კი მაგრამ, აქ საიდან გაჩნდი?..

— აქეთ ვიყავი. გეძახდი. ხმა არ მომაწვდინე. კარი შემოვაღე. გეძინა.

— წადი, ახლავე წადი, მეზობლებმა არ შემოგისწრონ, თორემ რას იფიქრებენ...

— არსადაც არ წავალ... ჩუმად... ვიცი, რასაც მეტყვი: „სადაა ჩემი გოგო-ბიჭები ჩამოვლენო“. ჰოდა, როცა ჩამოვლენ, მეც მაშინ წავალ.

— კი, მაგრამ...



— არავითარი მაგრამ... აბა, ახლა, ქალბატონო, ცოტა ბულიონი მიირთვი... არც ერთი ზედმეტი სიტყვა, თორემ აქამდე რაც მოგითმინე, კმარა. სულ, სულ, წვეთიც არ დარჩეს ფინჯანში. ასე, ყოჩაღ! ახლა ქათმის ხორცი ინებე. მერე კიდევ რამდენიმე კოვზი შემწვარი ვაშლი და...

— კი, მაგრამ...

— ყველაფერი ჩემი ხელით მოვამზადე... მართა მომეხმარა...

— მართა?!

— კი... აი, გასაშლელი საწოლიც შემომიტანეს. კარგი მეზობლები გყოლია...

— მაინც, რა მოხდა?!

— ის მოხდა, რომ გული აგიჯანყდა — მეც ადამიანი ვარ და ცოტა დამასვენეო... ხომ გემრიელია...

— ეჰ, ღმერთმა გადაგიხადოს სიკეთით!

— ამას უყურე. ღმერთს არ დააცალა?! არა, მირჩევნია ისევ შენ გადამიხადო...

— შენი ვალიდან, ალბათ, მე ვერასოდეს ამოვალ... გული აღარ მემორჩილება და ფეხი... თავი მისკდება...

— პირში სული რომ გიდგას, არ გიკვირს?

— არა, არა, ჩემს შვილებს აუგად ნუ ახსენებ!

— ღმერთმა შეუნდოთ...

— ამინ!..

— გახსოვს ჩვენი პირველი შეხვედრა?

— მახსოვს... ორმოცდაორი წლის ოქტომბერი იყო.

* * *

— ჰეი, შოფერო, აი აქ, საბავშვო ბაღის ჭიშკართან გამიჩერეთ... ერთი წუთით ამ ბაღლებს მიმიხედეთ, მე ახლავე...

— წაიყვა, ქალო, ეს ღლაპები. ვერ ხედავ, ცრემლის გუბე დაა-

ყენეს? მოიცა, სად მიდიხარ! უყურე ერთი, მე არ შემომატოვა?! მერე რა ძიძა მნახა! აბა, რა გაღრიალებს! გაჩუმდი, თორემ, თუ გავბრაზდი...

ფოთოლა — ეი, ძია, არ გაბედო, თორემ მამას ვეტყვი და...

ტარიელი — მამაჩემს ამირანი ჰქვია, ა-მი-რა-ნი... ომიდან დაბრუნდება, და...

გიორგი — ჰო, შვილებო, ჩამოვა... აუცილებლად ჩამოვა. ოღონდ ახლა ნუ ყაყანებთ, ყურთასმენა წაიღეთ. ლატარიაში მერგეთ?.. გოგო, ვერა ხედავ დასაჯდომი დაასველა, გარეთ გაიყვანე...

ფიქრია — უკვე დაასველა და ახლა გაყვანას რა აზრი აქვს. თანაც გარეთ ცივა, ძია...

გიორგი — გოგო, შენ ასე რომ გაბღენძილხარ, ძმას არ უნდა მიხედო?

მამუკა — ეგ სრის გოგო... მე გოგო არა ვარ.

ნამეტი — ყველას ეშლება, მამუკა გოგო ჰგონიათ, მე კი ბიჭი.

ტარიელი — ავად იყო და დედამ გადაჰკრიჭა თმა. მამუკას კი ხომ ლამაზი თმა აქვს ძია?!

გიორგი — ისე დაუმშვენდა მაგას ცხვირ-პირი...

ტარიელი — ჰოდა, დედასაც ენანება, ლამაზი კულულები აქვსო.

გიორგი — ვაჟკაცი ხარ!..

მამუკა — ვ-ა-რ!..

გიორგი — მერე, კაცის ტირილი სად გაგონილა...

მამუკა — მშია და... არ ვიტირო?

გიორგი — ვაშლი რომ მოგცე, გაჩუმდები?!

მამუკა — გავჩუმდები.

გიორგი — სულ ორი ვაშლი მაქვს და როგორ მოგცეთ...

ფიქრია — ჩვენ თვითონ გავიყოფთ... ცოტ-ცოტას მოვკბეჩთ...

ფოთოლა — ეგ არაფერი. ერთხელ ერთმა ხელში აიყვანა და სულ დაისვარა.

მამუკა — ტყუის, ტყუის. თუ გინდათ, შარვალს ახლავე გავიხდი...

გიორგი — რა გაცინებთ, ბავშვებო. რა მოხდა ისეთი, განა შარვალი თქვენ არ გაგიხდიათ? შენ რა გქვია?

მამუკა, — მამუკა...

გიორგი — ყოჩაღ. აჰა, მოდი, ასე დაჯექი. აბა, ყველამ ერთად ხედას დაუძახეთ: უთხარით, ძია გიორგის ეჩქარება-თქო.

ტარიელი — ძია გიორგი! მეც დამსვით რა თქვენთან.

გიორგი — შენი სახელი?

ტარიელი — მე ტარიელი მქვია... „ვეფხისტყაოსანი" ხომ გაგიგონიათ. ჩემს ძმას კი ავთანდილი...

გიორგი — ახლა დედა რომ მოიყვანს საბავშვო ბაღიდან?

ფოთოლა — არა, ის მზექალაა. მე კი ფოთოლა მქვია. მაშინ შემოდგომა ყოფილა და ბევრი, ძალიან ბევრი ფოთოლი ეყარა თურმე ყველგან და...

მამუკა — ამას კი ნამეტი ჰქვია.

ფოთოლა — ტყუპები ვართ.

გიორგი — შენ რას გაჩუმებულხარ. აბა, ერთი შენი სახელიც მაჩუქე, და...

ტარიელი — მაგას ფიქრია ჰქვია... იმიტომაც არის სულ ჩაფიქრებული.

გიორგი — აუჰ, ეს რამდენი და-ძმა ყოფილხართ! აბა, დავითვალოთ: ერთი, ორი... ოთხი, ხუთი, ექვსი...

მამუკა — კიდევ შვიდი და რვა...

გიორგი — ეგენი ვინღა არიან?

ფოთოლა — ავთანდილი და მზექალა.

თამარი — აბა, ბავშვებო, წყნარად იყავით. ვაჟა, მოისვენე...

გიორგი — ახლა საით გვიბრძანებთ, ქალბატონო?

თამარი — აი აქვე, მოსახვევთან, ბავშვი მელოდება.

გიორგი — ვაჰ, კიდევ ვინ არის. გამაგიჟა კაცი!

თამარი — კაცო, ბავშვები ჩემებია და შენ რა გაგიჟებს?!

ტარიელი — ავთანდილი მეოთხე კლასში სწავლობს. მალე მეც წავალ სკოლაში.

თამარი — მამუკა, ძიას ნუ აწუხებ, თორემ მეორედ მანქანაში აღარ ჩაგსვამს.

გიორგი — ერთხელ ჩაგსვით და ძალიან გამახარეთ, ახლა მ[illegible]-რედაც მპირდებით?

თამარი — გააჩერეთ... აბა, ბავშვებო, გადმოდით, გმადლობთ. რამდენი უნდა მოგართვათ?

გიორგი — რამდენიც არ დაგენანებათ...

თამარი — ვაჟა, შენ რას იმალები. გადმოდი, ძიას ეჩქარება.

ვაჟა — მე მასთან მინდა, მანქანაში!..

თამარი — მანქანა ჩვენი კი არ არის. აჰა, თუმანი. მოიცათ, სად მიდიხართ!...

* * *

გიორგი — მეორედ ორმოცდახუთ წელს შევხვდით...

თამარი — აგვისტოში...

* * *

თამარი — კოჯორში!

გიორგი — ქალაქგარეთ არ წავალ!

თამარი — კოჯორი რა ქალაქგარეთია.

გიორგი — მერე, იქიდან ცარიელი ვიარო? შენი ფული ბენზინს არ ეყოფა.

თამარი — მოგცემ, ადამიანო, რა ჩარჩივით მევაჭრები.

გიორგი — ჩარჩი თვითონ ხარ, მე სახელმწიფო სამსახურში ვარ და ნერვებს ნუ მიშლით...

თამარი — ეს მე გიშლით ნერვებს?

გიორგი — შემდეგი!

თამარი — როგორ თუ „შემდეგი"! ახლა ჩემი ჯერია და სადაც მპირდება იქ წამიყვან! მამუკა, ნამეტი, ფიქრია...

მამუკა — ძია გიორგი, გიცანით.

გიორგი — ძალიან არ გამახარე. შენ მამუკა ხარ არა?!

მამუკა — მამუკა ვარ... მოგაგონდით?! ტარიელი ხიდან ჩამოვარდა და თავი გაიტეხა. იმასთან მივდივართ.

თამარი — თუ ძმა ხარ, ცოტა ჩქარა... ავთანდილ, ფული რა უყავი?

ავთანდილი — აქ მაქვს, ჯიბეში... ვაიმე, არა მაქვს... მგონი ფიქრიას მივეცი.

ფიქრია — ხომ არ გაგიჟდი, ჩემთვის არაფერი მოგიცია.

თამარი — ვაიმე, დაკარგეთ?!

ავთანდილი — ძია გიორგი... დავბრუნდეთ რა, ალბათ, სახლში დამრჩა.

ნამეტი — შენ მაშინვე ჯიბეში ჩაიდე.

თამარი — ვაი ჩემს გაჩენას... თხუთმეტი წლის ბიჭმა ფული ვერ უნდა შეინახო?

მამუკა — მოიცა, დედა, ნუ ტირი... აი აქ გდია... ალბათ, ჯიბიდან ამოუვარდა.

ნამეტი — მადლობა ღმერთს. ძია გიორგი, ეს ფული დედამ თქვენთვის ისესხა.

მამუკა — რომ დაგვეკარგა, ალბათ, გზაზე გადმოგვყრიდით, არა?!

თამარი — ხმა გაკმინდე... აი, აქ, კიბესთან გაგვიჩერეთ. მამუკა, ფული მიეცი. დიდი მადლობა.

გიორგი — რა დროს ფულია? მამუკა, დედას გაჰყევი, ტარიელის ამბავი გამაგებინე.

მამუკა — ძია გიორგი! დედა, ძია გიორგი არ წასულა!

თამარი — ეჰ, რაკი ბედი ასე გწყალობთ და ჩვენისთანა მდიდარ და გულუხვ ხალხს შეგყარათ... თბილისამდე უნდა ჩაგვიყვანოთ.

გიორგი — კაცი წყალს მიჰქონდა და გზაც იქით ჰქონდაო. გამარჯობა შენი ტარიელ! რა იყო, ბიჭო, არა გრცხვენია?

ტარიელი — მრცხვენია, მაგრამ ჩამოვვარდი და...

გიორგი — საშიში ხომ არაფერია?

თამარი — არაო. შუბლი აქვს გახეთქილი, მალე მოურჩებაო. უჩემოდ იქ აღარ დარჩა.

ნამეტი — აფსუს, რა საგზური გაფუჭდა... დედაჩემს უფასოდ მისცეს.

თამარი — არა უშავს, სადაც ჩვენ, იქაც ეს...

ტარიელი — ძია გიორგი! ძია გიორგი!

გიორგი — ჰო, შვილო, მე ვარ, ძია გიორგი. მიცანი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტარიელი — გიცანით, გიცანით; ხომ შემპირდით — საჭესთან დაგსვამო.

გიორგი — დღეს არა, სხვა დროს იყოს, როცა თავი მოგირჩება, კარგი?

თამარი — აქ გაჩერდით!

გიორგი — აქ რატომ? თქვენ ხომ ნაძალადევში ცხოვრობთ!..

თამარი — უკვე ქალაქში ვართ... აქედან ტრამვაით წავალთ.

გიორგი — მერე, შე დალოცვილო, ამხელა ბავშვით? ხელები დაგაწყდება.

თამარი — არა, არა, გმადლობთ, გაგვიჩერეთ!

ვაჟა — ფული არ გვეყოფა.

გიორგი — რაც გაქვთ, იმას მომცემთ. რა ვქნა ახლა... დანარჩენი ბალღები როგორ არიან?

თამარი — იზრდებიან...

გიორგი — ამათი მამა რას იწერება?

მამუკა — მალე ჩამოვალო.

თამარი — ჰო, შვილო, მალე ჩამოვა...

გიორგი — მიიღეთ რამე?

თამარი — ჰო, მივიღე... ორმოცდასამში...

მამუკა — აი ამ სახლთან, ძია გიორგი...

გიორგი — რომელთან, ამ ორსართულიანთან?

თამარი — ჰო, დიდი მადლობა... თუ ძმა ხარ, მცირედზე ნუ დაგვემდურები... დიდი მადლობა.

გიორგი — მომეცით, ტარიელს მე ამოვიყვან. წინა კარგი გქონიათ...

თამარი — ამათი მამის ნაშენებია.

ვაჟა — აჰა, ძია გიორგი ფული.

გიორგი — მანდ დადე, მაგიდაზე.

ავთანდილი — წამოდით ჩვენს ბაღში. იცით, რამდენი ხილი გვაქვს?

თამარი — შვილო, ძია გიორგის ღვინო მიართვით.

გიორგი — ახლა არა, სხვა დროს... კიდევ კარგი, ასეთი კარმიდამო გქონიათ, თორემ გაგიჭირდებოდათ... ახლა კი მშვიდობით. წავედი.

* * *

თამარი — და მთელი ჩემი ამალა თან გამოგყვა.

გიორგი — დიდხანს მიქნევდნენ ხელს. მეხვეწებოდნენ — ძია გიორგი ისევ მოდიოო.

თამარი — და შენც მოდიოდი... და მალვით თუ აშკარად მოგქონდა, რაც შეგეძლო...

გიორგი — ბავშვები ძალიან შემეჩვივნენ... მეც როგორ შევეჩვიე, შენ კი ახლოსაც არ მიკარებდი.

თამარი — და ერთხელ, როცა სულ მარტოდ დამიგულე...

გიორგი — მეშვიდე წელიწადზე... მერე ხომ მოსვლაც ამიკრძალე!

თამარი — და შენც აღარ მოდიოდი, არა?

გიორგი — ვაი იმ მოსვლას... ცხრამთას იქით გამირბოდი.

თამარი — ბავშვებისა მრცხვენოდა, არაფერი შემამჩნიონმეთქი.

გიორგი — გიყვარდი კია?

თამარი — სიყვარულისა რა გითხრა... ისე კი, რომ დაგინახავდი, მინდოდა ტკბილი სიტყვა მეთქვა...

გიორგი — მე კი როგორ მიყვარდი!.. ფიქრად ვიქეცი კაცი. რას ვაკეთებდი, რას ვამბობდი, აღარ ვიცოდი. სულ თქვენთან მინდოდა ყოფნა... ის დღე გახსოვს?

თამარი — მახსოვს...

გიორგი — გამწარებული მოვედი, ბავშვებთან თავი ველარ შევიკავე: ცოლად უნდა წამომყვე-მეთქი... ბავშვები ჯერ გაყუჩდნენ... მერე ტარიელმა და ავთანდილმა გარეთ გამაგდეს და კარი მომიკეტეს. რატომ არ გამომყევი, რატომ... ახლა მაინც არ ნანობ?

თამარი — ვნანობ... მაგრამ ბავშვები მეცოდებოდნენ მამინაცვლის ხელში. კი მაგრამ, მერე რად დაიკარგე? როსტოვში რამ წაგიყვანა?

გიორგი — დარდმა, თამრი, დარდმა. ოჯახი მე არ მყავდა და შენც...

თამარი — ათი წელიწადი... ათი წელიწადი...

გიორგი — თორემ, რომ ჩამოვედი, სულ თავზე არ შევლებოდი? ჩემთვის სად გეცალა...

თამარი — მამტყუნებ? რვა შვილის გაძღოლას ეხუმრები?.. მაგათ ენაცვალოთ დედა. და რა შვილები... ხომ არ გგონია, ვისიმე დახმარებით... სულ თავისით გაიკვლიეს გზა. ისე აბარებდნენ უმაღლეს სასწავლებლებში, რომ კაცისშვილი არ შეუწუხებიათ.

გიორგი — შენ კი შენი ცხოვრება შეალიე და...

თამარი — დედა ვარ, გიორგი, დედა... ნეტავ კიდევ რამეში გამოვადგე და...

გიორგი — რაღა დაგრჩა... ეს ერთი პაწაწინა ოთახი... არიქა, რომელიმეს ხომ არ სჭირდება — აიღე და გადაცვალე. ან გაყიდე — მიაშველე...

თამარი — ეჰ, ჩემო გიორგი... ჩემო კარგო...

გიორგი — იტირე... იტირე. ეგ სიხარულის ცრემლებია. დღეს მე ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ... შენ ჩემთვის ასეთი კარგი არასოდეს ყოფილხარ.

თამარი — მაპატიე, ჩემო გიორგი, არ მეცალა...

გიორგი — დამშვიდდი, შენი ჭირიმე... ოღონდ კარგად იყავი. ახლა შენს თავს არავის დავუთმობ, არცერთ შვილს, გესმის?

თამარი — ბებერი რაღად გინდივარ?!

გიორგი — ბებერი კი არა, ხანში შესული. თანაც ასაკი რა არის... აი, ასეთი, როგორიც ხარ, ფაქიზი, გულუხვი, კეთილი, მოსიყვარულე... იცი, მინდა ხვალვე ჩემს პაპისეულ ბინაში გადაგიყვანო. მოგივლი, თვალის ჩინივით გაგიფრთხილდები.

თამარი — და შემიძლია ეს ოთახი კაკოს დავუთმო?

გიორგი — როგორც შენ გაგეხარდება, ჩემო კარგო.

თამარი — მაპატიე, ჩემო გიორგი, წერილი მომწერა: ბინა ცოლს დავუტოვეო... გაშორებია. ახლა საერთო საცხოვრებელში ვარო. ჩვენი ბინა სხვა შვილებისათვის დამჭირდა, კაკოსათვის არაფერი დამრჩა... მე შენთან წამოვალ, ოღონდ ეს ოთახი...

გიორგი — მხოლოდ ამიტომ?

თამარი — არა, არა...

გიორგი — დამშვიდდი... ხომ გითხარი, როგორც შენ გაგეხარდება. მაგრამ ოთახი აქ, თვითონ კი მოსკოვში?!

თამარი — გადაცვლის... მთელი ჩემი ბინა — ექვსი ოთახი — თითო, ან ორ-ორ ოთახზე გავცვალეთ...

გიორგი — ბაღიც გაყიდე...

თამარი — ვაჟას მივაშველე. ხომ იცი, სწავლობდა. არა, არა, არაფერი თქვა, ჩემი შვილებია. რომ იცოდე შენმა ყურადღებამ, ამანათმა და წერილმა, როგორ გამახარა. ეს ხუთი წელიწადია ქალბატონივით ვცხოვრობდი... გულს რომ არ მოვეტეხე, რა მიშავდა?!

გიორგი — გულმა კი არ მოგტეხა, შვილებმა...

თამარი — გიორგი, კიდევ რომ ახსენო ჩემი შვილები, არ ვიცი რას გიზამ. სხვა რა მოვთხოვო... წერილებს მწერენ, ფულსაც მიგზავნიან, მეტი რა ქნან, ჩამოსასვლელად არა სცალიათ.

გიორგი — კარგი, შენი ჭირიმე, დამშვიდდი. შენი აღელვება ვინ გაიგონა.

თამარი — ჩემი გიორგი თუ ხარ, ახლავე გაუგზავნე კაკოს დეპეშა. საჩქაროდ ჩამოვიდეს, საბუთები შეაგროვოს და...

გიორგი — კი, გენაცვალე, ახლავე გავუგზავნი...

თამარი — წადი, წადი... ოღონდ დიდხანს ნუ მალოდინებ. ჩქარა დაბრუნდი. მარტო ნუ დამტოვებ.

გიორგი — აი მივდივარ... ოღონდ მითხარი, რომ ჩქარა მოვიდე, რომ მელოდები!..

* * *

და როცა გიორგი დაბრუნდა, თამარის გაახალგაზრდავებულ, მშვენიერ და მშვიდ სახეს ბედნიერების მარადიული ღიმილი დასთამაშებდა...

მთელი ღამე თამარის საწოლთან გაათენა ფიქრებში ჩაძირულმა. დილით კი ოთახში ხმაურით შემოვარდა კაკო იებით ხელში.

მეზობლები სახტად დარჩნენ:

— როგორ? რანაირად? საიდან? გულმა უგრძნო?!

— არა, დეპეშა მიიღო და ჩამოფრინდა. „საწყალმა" ძლივს მოიცალა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ლექსები

ზინა სოლომონიშვილი

## სამშობლოს

შენი ცა მხურავს თავზე მანდილად,
მზე ტანს მიცვარავს სხივთა იაზმით.
მწამხარ,
მიყვარხარ,
მწამხარ,
მიყვარხარ,
ყაყაჩოს კდემით, ქალურ სინაზით,
მერცხალი ვარ და დავცლილვარ ფრთებად,
რომ შენთვის ზეცის სივრცე გავცურო.
მე ქალი ვარ და
მე მაქვს უფლება
გიცავდე მართლაც მამაკაცურად.
ფეხთით დაგიფენ ყველა სიწმინდეს,
ანკარა სულით აგივსებ სურებს...
შენთვის შეწირულ ამ გულ-საწინდარს
აკვნების მადლით დაგიდასტურებ.
აგაყვავილებ ჩვილთა ღუღუნით,
შენი აპრილი რომ თვალწინ მედგას,
მწვანე ფარაჯით შევიცვლი კაბას,
ვინმე მუქარას თუ გაგიბედავს, —
გავიბორჯლები შენს მძლე ფესვივით,
რომ მზედ ვაქციო ღრუბელი კვამლის,
გამარჯვებული სიკვდილს შევცინებ
და ვაჟკაცურად მოვკვდები ქალი.

* * *

სისხლად მაწყდება ხმა წინაპრების,
ლამის კვირტებად გადმომაყაროს...
ვიწვი, არ ვქრები,
ვიწვი, არ ვქრები,
თვალშეუვლები მიცდის სამყარო.
მიწა მიჩვენებს საკუთარ სახეს,
და მეკიდება ცეცხლი ახალი...
მივდევ ძახილს და მამაპაპათა
ოფლით გაპოხილ მიწას დავხარი.
გალაქტიკაში გამყავს ბილიკი,
მეტეორების მაწრთობს ხარხარი,
ვერრას დამაკლებს შური, ქილიკი,
აღჭურვილი ვარ ბრძოლის ფარ-ხმალით,
ვმშვიდდები გზებზე,
ვოცნებობ მზეზე,
ვით მზე ჭაბუკზე მზეთუნახავი.

## ღამის

მზის ცხელმა კოცნამ ლოყა ამიწვა,
ავსალამურდი სიმღერის ხარბი;
წლები მიჩქრიან, თავად არ ვიცი,
თუ ატყორცნილი ბილიკი არბის!
ღამის ეს ჭალა კაბად ჩავიცვა,
გული გამისკდეს ალერსის ნაღმით.
და შევუხორცდე მკერდში ამ მიწას,
გაგიჟებული იების წარღვნით.

## მალე

თმებში ჩამიწნავ ალერსის ღვართქაფს,
გადავურჩები უფსკრულს აზიზი;
თუ დამერგები სარკმელთან მართლაც,
შემოგეხვევი უსურვაზივით...
გაებრაზებათ ამ მთებს, ამ ჭადრებს,
რომ შემოგაფრქვევ ამბორს ვარდებით,
მე შენს ლოდინში ნიჟვი ჩავდექ,
მალე გრიგალი ამოვარდები.

* * *

ნაზ მხრებს მილუმპავს
მზე ცხელი წვიმით
და სრბოლის ჟინით უფრო ვხელდები...
მხურვალე გულით
პლანეტა მომაქვს,
გზებს მიმყვებიან ყველგან ღმერთები;
დედა!
რამხელა ფრთები მქონია,
მთელ ვარსკვლავეთზე ვეღარ ვეტევი.

## სურათი

შავად აქოჩრილ ელვა-ღრუბლებმა
ზეცა აიკლეს მჭახე ქუხილით.
სახეს მალავენ ხელებში ხენი,
ქოხებს ნატრობენ გულისწუხილით,
სატევრებს ლესავს სიმინდის რაზმი,
ბუხუნით მუხა სეტყვას უყვირის;
კალთაგაშლილი ცახცახა ვაზი
გადამფოფრია მტევნებს კრუხივით.

ეთერ მეზურიშვილი

* * *

ამობრწყინდი და სულზე მომისწარ,
რომ ისევ ალმაზევო,
შენ გელოდება ტყე მოწყენილი,
და ჩემი ბედი, მზეო.

ამ ნალოდინევ თვალში ჩამხედე,
დამასწარ ზეიმს ფერთა,
მიაყურადე მინდვრების სუნთქვას
და ჩემი გულის ფეთქვას.

ამღერდი ყველა კვირტში და ფესვში,
ფიქრშიც ამღერდი ბარემ,
მეც მერგოს წილად, მეც მერგოს წილად
შენი ჩრდილი და მზვარე.

ვახტანგ ძნელაძე

## საკონცერტო დარბაზი

ფისო, ფისო, ფისუნია,
ეს რა კოხტა ფიცრულია!
ვინ ააგო? —
— მე და ყურშამ,
კიდევ — ორმა კარგმა მუშამ.
— ეგ მუშები ვინღა იყო? —
— თხა-ბეკეკა და ყიყლიყო.

— ბარაქალა, ოსტატებო!
სახლი მართლაც ლამაზია!
— მიავ, მიავ, გთხოვთ მობრძანდეთ,
საკონცერტო დარბაზია.

## მურა და ფისო

ჩასჩურჩულებს მურას ფისო:
სუნი მომდის კუპატისო.
ცოტას გავეთამაშები,
შენ ნუ ეტყვი ნურავისო.

— უკაცრავად, ვერ მოგართვით,
მე წუწკი და უვარგისო!
ქურდს რომ ხელი მოვუმართო
ღმერთმა ის დღე ნუ მაღირსოს!

## გამოცანები

მორთულია ძლიერ
ახალი წლის მიერ.
(ნაძვისხე)

2.

სანამ თოვლი მოვა,
სადღაც წავლენ გროვად.
(ფრინველთა გუნდი)

3.

აი უკვე ის დრო დადგა,
მთებზე თოვლი გახდა ნული,
მზემ ჩახჩახამ გამოგვხედა.
რა დროა და... (გაზაფხული)

4.

ზაფხული რომ მიიწურა,
ხილმა იწყო ყვითლად კრთომა.
მზემ ცოტათი კი მოიკლო
ის დრო მითხარ... (შემოდგომა)

5.

ბუჩქის ძირას თვალებს ახელს,
ლამაზია, ცისფერია,
გაზაფხულის მშვენებაა,
შენ სახელი მითხარ... (ია)

6.

მაშინ არის ავდარი,
რა დროა და... (ზამთარი)

თამრიკო ხოდაშნელი,
126-ე საშ. სკოლის III კლ. მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მზის სიცილი

მას ოცი წელი შეუსრულდა ქართული ოპერეტის სცენაზე... „ჩემს გულში რომ მზე იცინის, ეს ხომ შენი ბრალია, სიყვარულის ტკბილი გრძნობა სილვას მოუტანია". — მღერის ედვინი, მთვარის საქანელაზე კი ირწევა სილვა და სამი საათის განმავლობაში მაყურებელთა დარბაზი მის ტყვეობაშია.

20 წლის წინ, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სცენაზე, მისი პირველი როლი მოცეკვავე გოგონას ეპიზოდური როლი გახლდათ. დებიუტანტს ერთადერთი სიტყვა — „ქმარი" უნდა ეთქვა და მღელვარებისაგან ის ერთი სიტყვაც ვერა სთქვა. გამოცდილმა კოლეგებმა გაიცინეს და დადარდიანებული ახალბედა დაამშვიდეს: პირველი დამარცხება მომავალში დიდი გამარჯვების საწინდარიაო.

და ახლა საქანელაზე ირწევა მომხიბვლელი სილვა — თინათინ მერკვილაძე. მან ამ სცენაზე 40 სახე გამოძერწა, ორმოცი ქალი აამღერა — გაბიჩვაძის, გუდიაშვილის, ცაბაძის, შავერზაშვილის, ალიევის, აჯიბეკოვის, დუნაევსკის, ოფენბახისა და სხვათა ოპერეტებში: ჭრიჭინა, ტასია, ციური, ციცინო, ჩანიტა, ასია, სტელა, რეგინა... იგი თავისუფლად დაეუფლა ყველა ამ ვოკალურ სცენურ სახეს, დაეუფლა ბუნებით მინიჭებული მომხიბვლელობით.

უმაღლესი ჯილდო, რომელსაც ბუნება მსახიობს ანიჭებს, ეს არის სცენური მომხიბვლელობა — ამბობდა სტანისლავსკი და ამასვე იმეორებენ თინას თამაშით მოხიბლული, რეცენზენტები, თეატრალური კრიტიკოსები, ხელოვნებათმცოდნეები: „...თინა მერკვილაძემ გვიჩვენა სიღრმე თავისი ტალანტისა, ამ ჟანრის მრავალი მსახიობი მინახავს, მაგრამ თინა მერკვილაძემ ძლიერ მომხიბლა, მომაჯადოვა, ეს შესანიშნავი ხელოვანი პირველი კატეგორიის მსახიობად მინდა ვაღიარო და მიხარია, რომ გავეცანი მის შემოქმედებას". პროფესორი მ. იანკოვსკი.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის თინათინ მერკვილაძის თამაში ყოველთვის გამომდინარეობს აზრიდან, მისთვის სახე მხოლოდ ვოკალური პარტია როდია, სამი კომპონენტის — სიტყვის, ქორეოგრაფიისა და ვოკალური მხარის შერწყმაა, სინთეზია — ერთ მთლიანობაში გამოვლენილი. მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თანაბრად ძლიერია სახასიათო როლებსა და კლასიკურ ოპერეტაში. დაუკვირდით მის მიერ შექმნილ სახეთა სხვაობას. თუნდაც ელლა პოლინსკაიას კალმანის „ცირკის პრინცესადან". აქ არის ლირიზმი, დრამატიზმი...

ხელოვნებათმცოდნე ეთერ გუგუშვილმა ერთ-ერთი სპექტაკლის ნახვისას აღნიშნა: დროა თქვენმა თეატრმა „სილვაზე" იფიქროს, რადგან ასეთი ვოკალისტი გყავთო.

წლების მანძილზე, როგორც ფართო მაყურებელში, ასევე თეატრის კოლექტივში გავრცელებული იყო აზრი, რომ თ. მერკვილაძე მხოლოდ ე. წ. „გმირი ქალების", ფსიქოლოგიური პერიპეტიებით დატვირთული სახეების აღიარებული ოსტატია. მაგრამ 1966-67 წლის სეზონის მანძილზე ოპერეტაში „რომეო, ჩემო მეზობელო" სტელას როლის შესრულებით მსახიობმა დაამტკიცა თუ რამდენად მრავალმხრივია მისი გამომსახველობითი ხერხების პალიტრა. აქ ყველაფერი იყო — გროტესკული ხაზგასმის სიჭარბეც და ზომიერებაც, ვოკალური აზროვნების კომედიური სისხლხორცეულობა, სახის, რიტმის, ტემპის განსაკუთრებულობა და ყველაზე მთავარი — რწმენა იმისა, რომ მსახიობს შეუძლია ოპერეტის თავბრუდამხვევ პერიპეტიებში გალაღებული სუნთქვა.

როდესაც თ. მერკვილაძე ელიზა დულიტლის ურთულეს ფსიქოლოგიურ სახეს ანსახიერებს ლოუს ოპერეტაში — „ჩემი მშვენიერი ლედი", ეს მარტო მსახიობის გამარჯვება როდია, ეს თეატრის მიერ აღებული საერთო გეზის — აზროვნებითი რეპერტუარის გამარჯვებაცაა...

ელიზა დულიტლი — ყვავილების გამყიდველი, გულუბრყვილო, უხეში გოგონა, რომელიც სიყვარულის ძალამ აღაზევა ბრწყინვალე ლედად! რა მშვენიერი, რა დამაჯერებელი, რა ამაყია მერკვილაძის დულიტლი!

სულ სხვაა ნინოს როლი შავერზაშვილის ოპერეტა „ნინოში", ქართული ოპერეტის თეატრში ეს იყო რევოლუციურ თემაზე სპექტაკლის შექმნის პირველი ცდა, რაც ბრწყინვალედ შესრულდა. ნინო — მერკვილაძე არის უშიშარი მებრძოლი, რევოლუციური გზნებით სავსე ქალი.

ანდა დუნაევსკის „ლალ ქარში" სტელას პარტია. მსახიობმა ამ როლის შესრულებით მაყურებელს განაცდევინა დიდი სიამოვნება.

და ბოლოს კალმანის შესანიშნავი ოპერეტა „სილვა".

„...ჩემს გულში რომ მზე იცინის, ეს ხომ შენი ბრალია, სიყვარულის ტკბილი გრძნობა სილვას მოუტანია" — მღერის ედვინი და სილვამ — თინამ მარტო ედვინს კი არა, თავისი გააზრებული თამაშით მაყურებელს მოუტანა დიდი სიხარული.

— მე ყველა მემორჩილება, გარდა ერთისა, — ამბობს შეყვარებული სილვა და მართლაც, მას ემორჩილება ყველა, ვინც კი ნახავს და მოუსმენს.

სილვას პარტია სრულ დიაპაზონზეა დაწერილი და ამ როლში მსახიობს აქვს საშუალება მთელი ძალით გამოავლინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობა, ამიტომაც უყვარს მსახიობს ეს პარტია. დრამა, ბალეტი, მუსიკა, სიმღერა ისე საზეიმო, ისე ამაღლებულია, რომ იქმნება შთაბეჭდილება — ოპერეტას კი არა ოპერას უსმენთ, ამ ოპერეტაში არის სცენური დინამიკა, ჰუმორი, დრამატიზმიცა და მსუბუქი სევდაც. და ყველგან მეფობს სილვა — შეყვარებული, სილვა — ტრაგიკული, სილვა — ამაყი, ირონიული და ძლიერი...

ყველაზე რთული სახე თინა მერკვილაძემ, როგორც მომღერალმა და მსახიობმა, შექმნა ოპერეტაში „ჩემი შეშლილი ძმა".

თინა — ემა თითქოს თვით კომპოზიტორ გ. ცაბაძისა და დრამატურგ შატუნოვსკის ფიქრი და ოცნებაა, მათ შექმნეს ეს სახე და ვოკალური პარტია. ემა, ცხოვრების უკულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



სილვა — „სილვა"



ემა — „ჩემი შეშლილი ძმა"

მართობის მხსვერპლი, მეძავი ქალი, მაყურებელს ეცოდება და უთანაგრძნობს. იგი ფიქრობს მის ბედზე, მისი სცენური ცხოვრება თითქოს თან მისდევს და მოსვენებას არ აძლევს. ეს იმდენად რთული როლია, რომ ადვილი შესაძლებელია მსახიობი ერთგვარ ვულგარობაში გადავარდეს. თინა მეტად ზომიერად საზღვრავს ამ სახეს. მისი ემა არ კარგავს რწმენას, შემონახული აქვს სიწმინდე სულისა, ამას დაუმატეთ მერკვილაძის ძლიერი ხმის ლირიზმი, ხავერდოვნება და მოქნილობა.

და საერთოდ, რომელ პარტიასაც არ უნდა ისმენდეთ, ყოველთვის იხიბლებით თინა მერკვილაძის ხმის თბილი ტემბრით. ამ ხიბლით არის განმსჭვალული გ. ტორაძის მიერ კალმანის ოპერეტა „მონმარტრის იაზე" გამოთქმული აზრი:

„ნინონის როლის შესრულება მერკვილაძის ჭეშმარიტად ნათელი მიღწევაა, მისი შემდგომი არტისტული წინსვლისა და სრულყოფის მაჩვენებელია. მის შესრულებას თან სდევს ამ როლისათვის აუცილებელი ცხოვრება „ბრიო", ნამდვილი „კასკადური" პეწი. შესანიშნავად მიჰყავს მას ვოკალური პარტია, განსაკუთრებით ცეცხლოვანი „კარამბოლინა", რომელიც დარბაზის ენთუზიაზმს იწვევს".

— მე არ მიყვარს როლზე მუშაობის დროს სახის უცებ მოძებნა, — ამბობს თინა. — რეპეტიციის დროს ვუკვირდები დაკისრებული როლის თემას, მის ხასიათს, შინაგან ბუნებას და გვიან, როდესაც როლი ჩემზე განსაკუთრებულად იმოქმედებს და ვიგრძნობ მის შინაარსს, მხოლოდ მაშინ შემიძლია ვიწამო, თუ ვინ არის ეს ქალი, რომელსაც ვთამაშობ. განსაკუთრებით ემას როლი მიყვარს. ასე მგონია, აქ რაღაც ეპოპეა შევქმენი, ეს აზრი იმიტომ მებადება, რომ ვხედავ, როგორი კმაყოფილია მაყურებელი.

თინას ჯერ კიდევ ბევრი საოცნებო რჩება, გვჯერა, რომ განახორციელებს, გვჯერა რომ გაიმარჯვებს.

**დოდო ზურაბიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს

გასული წლის სექტემბერში ჰელსინკში ჩატარდა ჩილეს ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ 53 ქვეყნისა და 16 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. სოლიდარობის კამპანიის ფართოდ ჩატარების თაობაზე კონფერენციამ მიიღო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტები და შეიმუშავა ღონისძიებანი ჩილეს ხალხთან სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობის გასაძლიერებლად.

ჰელსინკის კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ჩილეს განსვენებული პრეზიდენტის სალვადორ ალიენდეს ქალიშვილმა ისაბელ ალიენდემ. იგი მიესალმა საბჭოთა ქალებს:

„ჩილეს ხალხის სახელით, საბრძოლო პოსტზე დაცემულ ამხანაგ ალიენდეს სახელით მინდა დიდი მადლობა მოვახსენო საბჭოთა ქალებს, რომლებმაც არაერთხელ გამოიჩინეს ჩვენდამი სიყვარულისა და სოლიდარობის გრძნობები. ალიენდეს სიცოცხლე, რომელიც მან ბრძოლას შესწირა, მაგალითია ყველა ჩილელისათვის. ალიენდემ გვიჩვენა გზა, რომლითაც უნდა ვიაროთ; ეს არის ფაშიზმთან ბრძოლის გრძელი და მძიმე გზა და ჩვენ გვჯერა ჩილელი ხალხისა. ჩვენ გავიმარჯვებთ".

ჩილეს ხალხთან სოლიდარობის კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღო ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ. ჩილეს სახალხო ერთიანობის ქალთა ფრონტს ფედერაციამ გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია. „ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ აღშფოთებული ვართ ფაშისტური სამხედრო ამბოხებით, რასაც მხარს უჭერენ უცხოეთის იმპერიალისტები. მათი მიზანია მოსპონ ალიენდეს მთავრობის ყველა სოციალური მონაპოვარი, რაშიც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩილელ ქალებს. ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, მასში შემავალი 97 ქვეყნის 110 ორგანიზაციის სახელით, სრულ სოლიდარობას უცხადებს თქვენს ხალხს, მის ქალებსა და ბავშვებს. გჯეროდეთ, რომ თქვენ მარტო არა ხართ თქვენს მძიმე ბრძოლაში რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ. ჩილელი ხალხი გაიმარჯვებს".

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ წერილით მიმართა აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ჩილეში მომხდარი ამბების პროტესტის ნიშნად.

სამართლისა და კანონების უხეში გათელვა, დემოკრატიის შეცვლა მკვლელობებითა და ტერორით, — ნათქვამია ამ წერილში, — აუბედურებს ათასობით ოჯახს, ქალსა და ბავშვს, რომელთაც ყოველდღიურად ედუპებათ ძმები, ქმრები, მამები.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის, მასში შემავალი 97 ქვეყნის 110 ეროვნული ორგანიზაციის სახელით ფედერაციის თავმჯდომარემ ჰერტა კუუსინენმა თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს მიიღოს ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობს ჩილეში დემოკრატიის აღდგენას, მისი ხალხის სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას, ხელს შეუწყობს ლათინურ ამერიკაში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებას.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ბიუროს საგანგებო სხდომაზე, რომელიც 13 ოქტომბერს გაიმართა ბერლინში, ჩილეს განსვენებული პრეზიდენტის ალიენდეს ქვრივმა — ორტენზია ალიენდემ მსოფლიოს ქალებს მიმართა წერილით, რომელშიც ნათქვამია:

„მე მოგმართავთ თქვენ, მსოფლიოს ქალებო და მოგიწოდებთ სამარცხვინო დაღი დაასვათ ჩილელი ხალხის ადამიანურ უფლებათა შემლახველებს, ხალხისა, რომელიც მტკიცედ მიდიოდა დემოკრატიული განვითარების გზით და დღეს გადაიქცა მმართველი სამხედრო ხუნტის არაადამიანური თვითნებობის მსხვერპლად.

ახლა ცრემლების ღვრის დრო ჩვენ არა გვაქვს. მიუხედავად სამხედრო ამბოხებისა, მიუხედავად დარტყმისა, რაც ჩილელ ხალხს მიაყენეს, იგი არ ნებდება. სანტიაგოში და მთელ ქვეყანაში ხალხი წინააღმდეგობას უწევს ხუნტას.

ჩვენ გვჭირდება სოლიდარობა და მთელი მსოფლიოს ხალხთა დახმარება, პროტესტებით გამოსვლა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციაში, შეხვედრებსა და მანიფესტაციებზე, მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალების გამოყენება. ჩვენ მოვითხოვთ ჩილეში საერთაშორისო მეთვალყურეების გაგზავნას, რომ მათ სამარცხვინო დაღი დაასვან მკვლელობებს, დანაშაულობებსა და ხალხის დევნას.

მე მაქვს იმის დამადასტურებელი საბუთები, რომ ჩილეს პრეზიდენტი სალვადორ ალიენდე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მამაცურად და ვაჟკაცურად იცავდა ხალხისა და ჩვენი რევოლუციის საქმეს. იგი ბოლომდე იბრძოდა პრეზიდენტის სასახლეში და დაიღუპა, თავისი ცხოვრება შესწირა მშრომელთა საქმეს.

მე საქვეყნოდ ვაცხადებ, რომ თქვენი მჯერა, ქალებო. თქვენ, რომლებიც სათავეს აძლევთ სიცოცხლეს, იზიარებთ ჩემს აღშფოთებას იმ ტრაგედიის გამო, რასაც ჩილე განიცდის, იზიარებთ ჩილეს ქალთა გადაწყვეტილებას გასწიონ წინააღმდეგობა, იბრძოლონ ჰუმანური და ადამიანის ღირსი საზოგადოებისათვის ჩვენი ბავშვების სახელით".

ჩილეში შექმნილი ვითარება ღრმა ტკივილებს იწვევს საბჭოთა ქალების გულში, ყველა საბჭოთა ადამიანის გულში.

ჩილეს ხალხთან სოლიდარობის მიტინგებზე, რომელიც მთელ ჩვენს ქვეყანაში ჩატარდა, გამოდიოდნენ საბჭოთა ქალების საზოგადოებრიობის გამოჩენილი წარმომადგენლები.

ჩილეს ხალხთან არის მთელი პროგრესული კაცობრიობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ელენე ამოსოვა (მარჯვნივ) ფოტო ა. ელანჩუკისა

# გილოცავთ!

მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო ელენე გიორგის ასულ ამოსოვას სახელი მუშათა კლასის ღირსეული წარმომადგენელი ივანოვოს ოლქის ქალაქ ფურმანოვის № 2 სართავ-საქსოვ ფაბრიკაში მრთველად მუშაობს. ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი, მქსოველ ვინოგრადოვების სახელობის პრემიის ლაურეატი მაღალი პროფესიული ოსტატობის, შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების და საფეიქრო წარმოების ტექნიკის უნარიანად გამოყენების მაგალითს იძლევა. ამიტომაც მან გასული წლის 10 ნოემბრისათვის, ორ წელიწადსა და ათ თვეში შეასრულა ხუთწლიანი დავალებები და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულება, გამოუშვა 300 ტონა მაღალხარისხოვანი ნართი, რომლისგანაც ფეიქრებმა მილიონნახევარი მეტრი ქსოვილი მოქსოვეს.

ელენე გიორგის ასული თავის გმირულ შრომას აგრძელებს. ახალი დაზგების გამოყენებით მას საშუალება აქვს კვლავაც მოემსახუროს ნორმით გათვალისწინებული 700 თითისტარის ნაცვლად 1.288 სართავ თითისტარს და 1975 წლისათვის კიდევ მეორე ხუთწლიანი დავალება შეასრულოს, გამოიმუშაოს 310 ტონა ნართი.

ხუთწლედში ორი ხუთწლედი! — ასეთია ელენე ამოსოვას საბრძოლო ამოცანა!

ელენე გიორგის ასულო, საქართველოს ფეიქრების, ჟურნალ „საქართველოს ქალის" მკითხველების სახელით რედაქცია გილოცავთ ამ შესანიშნავ წარმატებას, რომლითაც ყველა ქალი ამაყობს, გისურვებთ დიდ ბედნიერებას ცხოვრებაში, კვლავ ახალ გამარჯვებას და ახალ მიღწევებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიმონ კილაძე

ჩანგი



ქართველი ფოტოხელოვანის სიმონ კილაძის შემოქმედება კარგად არის ცნობილი არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც.

ს. კილაძე მხატვრული ფოტოგრაფიის ბევრი დიდი საერთაშორისო გამოფენის, სალონისა და ფოტოკონკურსის მონაწილე და პრიზიორია. გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის ფოტოკორესპონდენტი, დაარსების დღიდან ხელმძღვანელობს რესპუბლიკურ ფოტოკლუბ — „საქართველოს", რომელიც ჩვენი რესპუბლიკის ფოტოხელოვნების ცენტრს წარმოადგენს.

მიმდინარე წელს ჩეხური ჟურნალის — „რევიუ ფოტოგრაფიის" ინიციატივით პრაღაში ეწყობა სიმონ კილაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა.

ვბეჭდავთ იმ ნამუშევართა ერთ ნაწილს, რომლებიც ამ გამოფენაზე იქნება ექსპონირებული.

მეგობრები



წყეული იყოს ომი!





გვირილები



რეპეტიცია



შემოდგომა

ქარი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



გ. ორაგველიძე

„ჩვენ
მშვიდობა
გვინდა“

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ვიბრძოდეთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის — ნიშნავს ყველგან და ენერგიულად ვნერგავდეთ უახლეს ტექნიკას, პროგრესულ ტექნოლოგიურ პროცესებსა და საპროექტო გადაწყვეტებს. ყოველივე სიახლე, რაც ინსტიტუტებში, საკონსტრუქტორო ბიუროებში, ქარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში იბადება, რასაც ნოვატორები და გამომგონებლები ქმნიან, სწრაფად უნდა ინერგებოდეს საზოგადოებრივ წარმოებაში. საჭიროა ენერგიულად ვილვწოდეთ, რათა საბჭოთა საწარმოების პროდუქცია ხარისხითა და ტექნიკური დონით არა თუ არ ჩამორჩებოდეს, არამედ სჯობდეს კიდეც საუკეთესო საზღვარგარეთულ ნიმუშებს".

**(სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვიდან პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი)**

## რა გვიჭირს, რა გვილხინს

# წინდა და მოთხოვნილება

შარშან თბილისის წინდების ფაბრიკა „კრწანისის" სახელზე 16 რეკლამაცია მოვიდა. სწორედ, რომ დამაფიქრებელი მდგომარეობაა.

მომხმარებელს მაღალი გემოვნება აქვს და დღეს თბილისური წინდების არც ხარისხი აკმაყოფილებს, არც ფერი. შეფუთვაზე ლაპარაკი ზედმეტია.

წინდა სულ ცოტა ხანს ვატარეთ და დაგვეხა. მართალია, ამით ქვეყანა არ დაქცეულა, მაგრამ მისი შეძენა ხომ საგრძნობლად აწვება ოჯახის ბიუჯეტს? კვირაში ერთი წყვილი წინდა, თვეში 8-10 მანეთია. ამ თანხას თუ გავამრავლებთ ოჯახში ქალების რაოდენობაზე, მივიღებთ საკმაოდ მსხვილ თანხას, რომელიც საგრძნობლად აკლდება ოჯახის საერთო შემოსავალს, — გვწერს მომხმარებელი.

ქართველი ქალები, ისე როგორც სხვა ქვეყნის ქალები, მტკივნეულად განიცდიან წინდების უხარისხობას, არ აკმაყოფილებთ მისი გამძლეობა და ფერი, ამიტომ იძულებული არიან შეიძინონ უცხოური ან ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების ნაწარმი.

თბილისის წინდების ფაბრიკის — „კრწანისის" კოლექტივმა კარგად იცის, რომ მომხმარებელი უკმაყოფილო ჰყავს. მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ წლების მანძილზე ისინი უფრო დაბალი ხარისხის ნაწარმს უშვებდნენ. ამას არც თვითონ მალავენ და ცდილობენ პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, საქმის გამოსწორებას. მაგრამ ზოგჯერ უმწეონი არიან, რადგან წუნისა და უხარისხობის მთავარი მიზეზია გაცვეთილი მანქანა-მოწყობილობები.

მოძველდა ფაბრიკა „კრწანისში" 1964 წელს დამონტაჟებული დანადგარები. ათი წელიწადი ერთი და იგივე საქსოვი მანქანებით მუშაობა ნამდვილად უკან სწევს საქმეს, ვერ უზრუნველყოფს დღევანდელი მოთხოვნილების მაღალ დონეს. განსაკუთრებით ცუდად იქსოვება წინდების დეტალები, მაგალითად, საქუსლე თითქმის ყოველთვის გამოძენძილია, რაც შნოს უკარგავს ნაწარმს.

კარგახანია მოძველდა სამღებრო-საგამომყვანო და საქსოვი მოწყობილობები, კერძოდ, ოთხსისტემიანი მრგვალსაწინდე ავტომატები.

პროდუქციის ხარისხს აუარესებს მუშათა მომზადების დაბალი დონეც. წინდა ნემსებზე იქსოვება და თუ იგი ქსოვის დროს კვალიფიციურმა მუშამ არ გაასწორა, თვალი ამოვარდება და ნაქსოვი ულამაზო, არათანაბარი გამოვა.

საწარმოში ძირითადად სამი სახის წინდა იქსოვება: ყოველდღიური სახმარი, გამოსასვლელი და თბილი. წინდის ფერებია: ღია ხორცისფერი, ხორცისფერი, მუქი ხორცისფერი, „ელეგანტი" და შავი. არც ერთი მათგანი თანამედროვე გემოვნებას არ აკმაყოფილებს.

საჭიროა ფერების საგამომყვანო წარმოების სრულყოფა, უფრო სწორად, ფაბრიკის კოლექტივმა ძირფესვიანად უნდა შეცვალოს საგამომყვანო ტექნიკური პროცესები უახლესი ტექნოლოგიის დახმარებით.

ახლა ფაბრიკაში წარმოებს მოძველებული სამღებრო-საგამომყვანო დანადგარების ერთპროცესიანი აგრეგატებით შეცვლა. ეს არის ჯამამული მანქანები. სამი წელიწადია დამონტაჟებულია 6 ასეთი დანადგარი და მან საგრძნობლად აამაღლა წინდის ხარისხი; ახლა სტაბილიზაცია, ღებვა და ფორმირება ერთ პროცესში ხდება. მანქანაში შედის თეთრი წინდა და 2 წუთში გამოდის უკვე გამზადებული პროდუქცია.

თუ აქამდე წინდების გადაზიდვა ხელით ხდებოდა, ამჟამად ხელით სამუშაოები მოხსნილია, რამაც ცხადია, ასწია გამოშვებული პროდუქციის ხარისხი. მართალი იყვნენ მუშები, როცა გაუთავებლად დაობდნენ საქუსლეს გამოძენძვაზე. ძველი მანქანები ქუსლის ნაწილს ვერ ქსოვდა. ამიტომ დამონტაჟდა ახალი 8-სისტემიანი მრგვალსაწინდე ავტომატები — „დანა-8", რომელიც ქსოვს როგორც ქუსლს, ასევე მთლიან წინდას ბადისმაგვარი ხლართით.

რა თქმა უნდა, პროდუქციის ვარგისიანობა დამოკიდებულია თვით ნედლეულზე. როცა ნედლეული უმაღლესი ხარისხისაა, იგი ადვილად მუშავდება და პროდუქციაც მაღალხარისხოვანი გამოდის. ნეილონს ძირითადად იღებენ მოკავშირე რესპუბლიკებიდან, კერძოდ კლინიდან (მოსკოვის ოლქი) და ჩერნიგოვიდან (უკრაინა). ძაფი მზადდება შესაბამისი სტანდარტების მიხედვით.

ამჟამად ფაბრიკაში ქსოვენ ძირითადად სამი სახის წინდას: „კულირული სადა", „მიკრო-მეში" (ხლართის სახეები) და დაწნეხილი ხლართით. ერთპროცესიან აგრეგატებზე მოქსოვილი ნაწარმი უდაოდ მაღალი ხარისხისაა. ეს მანქანები დღეღამეში ქსოვენ 300 ათასზე მეტ წინდას. მიუხედავად იმისა, რომ ქსოვის პროცესს მცირე დრო სჭირდება, მაინც ვერ ასწრებენ მეტის გამოშვებას. მოთხოვნილება კი ძალიან გაიზარდა. დაგეგმილია და ახლო მომავალში სამღებრო-საგამომყვანო დანადგარებს კიდევ 2 ახალი აგრეგატი მიემატება, შემდეგ კი ასეთი სახის მანქანები დამონტაჟდება მთელ ფაბრიკაში.

წინდების დახარისხება რამდენჯერმე ხდება. ჯერ საქსოვი მანქანიდან მოხსნის დროს ახარისხებს მას მქსოველი, მერე სამღებრო-საგამომყვანო საამქროში წარმოებს წუნდება, დაწყვილება, კემსვა და შეფუთვა.

მომხმარებელთა შორის პოპულარობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რეკლამას, მაღალ ესთეტიკურ გაფორმებას, შეფუთვას. თბილისის წინდების ფაბრიკამ ამ ბოლო დროს გარკვეული რაოდენობით გამოუშვა უმაღლესი ხარისხის წინდები, მაგრამ ისეა შეფუთული უბრალო ცელოფანის პარკებში ლურჯი ან წითელი საღებავიანი წარწერით „კრწანისი", რომ მყიდველს არ იზიდავს. რა თქმა უნდა, მომხმარებელი პირველად ამჩნევს გარეგან გაფორმებას და შემდეგ წინდის ხარისხს.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს „კრწანისის" ნაწარმის ხარისხი ერთპროცესიან მანქანაზე გადასვლით საგრძნობლად გამოსწორდა, ფერი მაინც რჩება საპრობლემო საკითხად. წინდები ვერ იღებება სასიამოვნო თბილი ფერებით, ეს იმიტომ, რომ ფაბრიკა არ მარაგდება მაღალი ხარისხის საღებავებით...

„კრწანისის" პროდუქცია იგზავნება საბჭოთა კავშირის 45 ქალაქში. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა უ. წ. გამოჭრილ წინდებზე, რომელიც არ იხევა (ის წინასწარ იჭრება და მერე გრძივსაქსოვ მანქანაზე იკერება). მან მომხმარებლის დიდი მოწონება დაიმსახურა ყველგან.

ასეთივე მოწონებით უნდა სარგებლობდეს ფაბრიკის მთელი პროდუქცია. ხარისხისათვის ბრძოლა იქნება პასუხი იმ დიდ მოთხოვნილებაზე, რომელსაც აყენებს დღევანდელობა.

**ირმა ჩოფიკაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საკითხის დასმის წესით

# ქართული მევენახეობა-მეღვინეობის სადღეისო პრობლემები

### (ეთნოგრაფის თვალთახედვით)

მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და ტრადიციული დარგია. იგი არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის საყრდენია, არამედ ქართველი ხალხის თავისებურებათა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველიცაა. ამ თვალსაზრისით წარმოებული კვლევა-ძიება, რასაც ქართველი ეთნოგრაფები ეწევიან, საგულისხმო შედეგებს იძლევა. დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების საქმეში ხალხის მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილების გამოვლენას.

თითოეული ვაზის ჯიშს თუ ვენახის ტიპს უწინ მტკიცედ განსაზღვრული ადგილი მოეპოვებოდა და იგი თავის არსებობას რაიმე დადებითი თვისებებით ამართლებდა. ამიტომ მათ განლაგებას წინასწარ გამიზნული მკაცრი ლოკალურობა ახასიათებდა, რაც მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან მოყოლებული დღემდე თითქმის მოიშალა. მევენახეობაში ძველი ცოდნა თანდათან დავიწყებას მიეცა და ქართული ვაზის ჯიშების სიმრავლე „უცნაურ ფაქტად" იქცა, ხოლო ვენახის ძირითად ფორმად საქართველოს ყველა რაიონში დაბლარი გაბატონდა. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთმა სპეციალისტმა „არასტანდარტული ჯიშებისაგან დანაგვიანებული ვენახების გაწმენდა" მოიწადინა. ამით დაკანონდა იმის შეგნებულად განადგურება, რაც დაავადებას გადაურჩა. მართალია, ამის გამო საზოგადოებრიობამ და ცალკეულმა მეცნიერებმა იმთავითვე ხმა აღიმაღლეს, მაგრამ განწირული ჯიშების და ვენახის სახეთა შესანარჩუნებლად პრაქტიკულად ახლაც თითქმის არაფერი კეთდება. ამჟამად ჯიშის ღირსებას ავადმყოფობათა გამძლეობა და უხვი მოსავლიანობა განსაზღვრავს. აღარ იგრძნობა ცალკეული მიკრორაიონისათვის დამახასიათებელი ღვინოების დაყენების აუცილებლობაც, ამის გამო ვრცელდება ასე ინტენსიურად ე. წ. „სტანდარტული ჯიშები" და საფუძველი ეცლება ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის მრავალფეროვნებას. თუ ასე გაგრძელდა, აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ რქაწითელი დარჩება, ხოლო დასავლეთში — ცოლიკაური. მაშინ, როდესაც საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის უმთავრესი ღირსება იმაშიც გამოიხატებოდა, რომ ჩვენი ქვეყნის მევენახეობის თითოეულ მონაკვეთს ვაზის საკუთარი ჯიში და აქედან გამომდინარე, შესაბამისი ღვინო ჰქონდა (ჩხავერი, ჯანი, ოჯალეში, ალექსანდრეული, უსახელოური, ტვიშური მწვანე, ქინძმარაული, მანავის მწვანე, ატენური და სხვა). მრავლისმეტყველი ფაქტია, რომ უსახელოურმა ახლახან იალტაში გამართულ ყურძნის ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსზე კიდევ ერთი მაღალი ჯილდო, ვერცხლის მედალი მიიღო, მაშინ, როდესაც ამ ღვინის მასიური წარმოება ნედლეულის უქონლობის გამო 1968 წელს შეწყდა. რაც დრო გადის, „ხვანჭკარის" ნედლეულის მიღებაც ჭირს. ამ ღვინის მომცემი ჯიშები ალექსანდრეული და მუჯურეთული მაღალხარისხოვან ნაყოფს მაშინ ისხამენ, როცა ისინი გაშენებულია მათი ისტორიული გავრცელების სოფლებში (ჩორჯო, ხვანჭკარა, ტოლა, ქომხა, ჰყვიში), მწირ, სამხრეთით „მიფიცხებულ" ფერდობებზე. სამწუხაროდ ეს ფერდობები გამოიფიტა და ზედ გაშენებული ვენახები უდროოდ გადახმა. ამის უმთავრესი მიზეზი გახდა დაქანებული ექსპოზიციის მქონე სავარგულების მოვლა-შენახვის ძველხალხური წესების უგულებელყოფა. აღნიშნული წესები ქართველ ეთნოგრაფთაგან დაწვრილებითაა შესწავლილი, მაგრამ ცხოვრებაში მათ ხელახლა დანერგვაზე ნაკლებად ზრუნავენ. მოსახლეობა თანდათან ივიწყებს აგრეთვე ღვინის დაყენების მამაპაპურ ტრადიციებს. საუკეთესო ღირსების მქონე ე. წ. „ძველი ღვინო" მხოლოდ მოხუცების მოგონებადღა დარჩა, ახლა არავინ არჩევს თირ, „მზიგულ" ადგილზე მოყვანილ, გადამწიფებულ, დამჭკნარ ყურძენს, არავინ ითვალისწინებს ვაზის ასაკს, გაპატიების დროს, საწნახელში დაწურვისა და დადუღების თავისებურებებს, დასაძველებლად განკუთვნილი ღვინის საგანგებო მოვლას და სხვა. ამასთანავე, ძველებური მარნები და ინვენტარიც გაქრობის პირზეა. ყოველივე ეს არის მიზეზი, რომ ხალხური წესით დაყენებულ ღვინოს ყალბქმნილი სასმელი სცვლის, მაგრამ ქართული ღვინის ღირსებას სახელმწიფო იცავს, ოღონდ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მაცივრებში მოთავსებული და პასტერიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტი ის აღარ არის, რა[illegible] უწინ ჩხავერი, ოჯალეში, ალექსანდრეული და უსახელოური ერქვა. სპეციალისტთა მტკიცებით, პასტერიზაცია უარყოფითად მოქმედებს ბუნებრივად ტკბილი ღვინის გემურ თვისებებზე. ამ ტიპის ღვინოთა სრულყოფილი ტექნოლოგიის გამომუშავებისათვის ძიება გრძელდება, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იყენებს მრავალნაცად ხალხურ მეთოდებს, რომელთაც კოლხურ ღვინოებს ჯერ კიდევ ჰომეროსის ხანაში საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი. ხალხური ტექნოლოგია, უპირველეს ყოვლისა უზრუნველყოფდა სასმელის ბუნებრიობას, რაც ილია ჭავჭავაძემ სამართლიანად აღიარა ქართული ღვინის უმთავრეს ღირსებად. ამიტომ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქართველ მეღვინეთა შთამომავლობით გადმოცემულ, მრავალსაუკუნოვან ცოდნა-გამოცდილებას. არც ხალხური მეღვინეობის ინვენტარია მთლიანად უარსაყოფი, მითუმეტეს, როცა ადგილობრივი ტიპის, ისტორიულად ცნობილ, მაღალხარისხოვან ღვინოს ვაყენებთ. სწორედ ხალხური იარაღ-ჭურჭლის მეშვეობით იყო ღვინო ლითონის და სხვა მავნე ზეგავლენებისაგან დაცული, რაც თანამედროვე მეღვინეობის ტექნიკაში ისევ აქილევსის ქუსლად რჩება. ამ საკითხზე ღირს დაფიქრება და სანამ ხალხის მონაპოვარი ხელიდან არ გამოგვცლია, ვეცადოთ მის არა მარტო შესწავლას, არამედ პრაქტიკაში დანერგვას.

უპირველესად საჭიროა სამარკო ღვინოების წარმოებაში შეიზღუდოს რაოდენობით გატაცება და წინ წამოიწიოს პროდუქციის ხარისხი. მევენახეობით ცნობილ ქვეყნებში (საფრანგეთი, ესპანეთი, იტალია და სხვა) ეს პრობლემა დიდიხანია მოგვარებულია, იქ ძვირფასი ღვინოების დაყენების დროს ხალხის ემპირიულ ცოდნა-გამოცდილებას ანგარიშს უწევენ, მევენახენი ვაზებს ზედმეტ ნაყოფს აცლიან, რათა საუკეთესო ნედლეული მიიღონ. ჩვენი იდეალურად სრულყოფილი ჯიშები: ალექსანდრეული, უსახელოური, საფერავი და სხვა ასეთ ჩარევას არ საჭიროებენ, რადგან თითოეული მათგანის ნაყოფიერება თავისთავად ლიმიტირებულია, რისი მეშვეობითაც საოცრად მაღალხარისხოვან ყურძენს იძლევიან. სამწუხაროდ ეს ღირსება აღნიშნული ჯიშების შემცირების მიზეზად იქცა. ვინაიდან ისინი ზომიერად მოსავლიანი და სათუთად მო-

სავლელი არიან, მათი გაშენებით თავს ალარავინ იწუხებს. ძველი ვენახები კი თვალსა და ხელსშუა ქრება. ცაგერის რაიონში ფიქრობენ უსახელოურის საბჭოთა მეურნეობების მოწყობით უშველონ, მაგრამ ჩვენი აზრით, ეს არ არის გამოსავალი. საბჭოთა მეურნეობა შრომის ორგანიზაციის ყველაზე უფრო სრულყოფილი, პროგრესული ფორმაა, რომელიც მოწინავე სამამულო ტექნიკას ეყრდნობა, ხოლო უსახელოურის და მსგავსი ჯიშების გასაშენებელი რელიეფი ჯერჯერობით მექანიზაციის გამოყენებას გამორიცხავს. თან თითოეული ძირი ვაზი ინდივიდუალურ მიდგომას და როგორც მევენახენი იტყვიან, „ყოველდღიურად კაცის ხელს" საჭიროებს, რაც ნაკლებშესაძლებელია საბჭოთა მეურნეობის თვალუწვდენელ ზვრებზე. აქვე უნდა დავძინოთ, რომ რაჭალეჩხუმში და საქართველოს სხვა მთიან კუთხეებში, სადაც ძირითადად მიიღება ბუნებრივად ტკბილი ღვინოებისათვის საჭირო ნედლეული, ვრცელი სავენახე მასივების გამონახვა გაჭირდება, რის გარეშეც საბჭოთა მეურნეობის არსებობა წარმოუდგენელია. ისევ კოლმეურნეობათა განმტკიცებით და შრომის დისციპლინის დაცვით უნდა ეშველოს საქმეს. ამჯერად საჭიროა ზუსტად აღირიცხოს ძვირფასი ყურძნის მომცემი სავენახე მიწები, რათა ზღვარი დაედოს სხვა მიზნით მათ გამოყენებას. დასამალი არ არის, რომ ამ უნიკალურ ადგილებში ტყეებს აშენებენ და სხვათაშორის, ეს „ტყეებიც" მოუვლელობის გამო უკვე გადამხმარია. რაც შეიძლება მალე, მეცნიერულ დონეზე შესწავლილი უნდა იქნას აღნიშნულ სავარგულთა დატერასების, საერთოდ მექანიზებული ათვისების და ეროზიისაგან დაცვის შესაძლებლობანი, ხოლო სანამ ეს დაიგეგმებოდეს და განხორციელდებოდეს, კარგი იქნება თუ მიწები კოლმეურნეებს დაუნაწილდებათ მკაცრი გაპიროვნებით, რათა შევინარჩუნოთ ნიადაგის დაცვის ხალხური საშუალებანი და ჯერ კიდევ გადარჩენილი ვაზის მოვლა-მოშენების როგორც აგრონომიული, ისე მამა-პაპური წესები. კოლმეურნეთა მძიმე შრომის სანაცვლოდ უნდა გამოინახოს ანაზღაურების შესაბამისი სისტემა, რომ ისინი დაინტერესდნენ ვენახის მოსავლიანობითა და ყურძნის ხარისხის ამაღლებით, რითაც, ბუნებრივია, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება და მოვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა. მითუმეტეს, მთის პირობებში ვაზის მოვლა მრავალ სიძნელესთან არის დაკავშირებული. ვაზის კულტურა მძიმე ფიზიკურ შრომასთან ერთად დიდ ცოდნა-გამოცდილებას და დახელოვნებას მოითხოვს. ამიტომ მთიელ მევენახეთა საქმიანობა არ უნდა შეფასდეს ისე, როგორც ჩვეულებრივი სასოფლო-სამეურნეო სამუშაო, იგი ხალხური ხელოვნების სპეციფიკურ დარგად უნდა ჩაითვალოს და ანაზღაურებაც ამის შესაბამისად დაწესდეს.

გასათვალისწინებელია აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს შუამთისათვის მევენახეობა სწორედ ის ძარღვი იყო, რომელიც უხსოვარი დროიდან მკვიდრად ამაგრებდა მოსახლეობას მიწაზე. მევენახე გლეხი თავის კარმიდამოს თითქმის არასდროს არ ტოვებდა. თუ კი მტერი განდევნიდა, მშვიდობის ჟამს ისევ უკან ბრუნდებოდა და აჩეხილ ვენახს ხელახლა აღორძინებდა. ახლა დასამალი არ არის, რომ საქართველოს შუამთის მევენახე მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა ქალაქს მიაშურა, რისი მიზეზების ყოველმხრივი გამოვლენა და აღმოფხვრა გადაუდებელ საქმედ გვესახება.

ასეთი ვითარებაა რაჭა-ლეჩხუმში. ამ კუთხეთა მევენახეობა-მეღვინეობა ისტორიულ-ეთნოგრაფიული თვალთახედვით მონოგრაფიულ დონეზე გვაქვს შესწავლილი. ამჟამად ვმუშაობთ გურიაზე და წინასწარი მონაცემების გათვალისწინებით, შემდეგი უნდა განვაცხადოთ:

მევენახეობა-მეღვინეობა გურიის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი დარგი იყო. იქაური ვაზის ჯიშები: ჯანი, ჩხავერი, ტევანდიდი, მტრედისფეხა და სხვა განსაკუთრებული მაღალხარისხოვნებით და ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. ჯანი, რომელიც შავ, საუკეთესო გემოს ტკბილ ღვინოს აყენებდა, ოჯალეშის, ალექსანდრეულის, საფერავის და უსახელოურის გვერდით იდგა. ჯანის და ჩხავერის ღვინო ვაჭრობის საგნად ადრევე იყო ქცეული.

ჯანი უმეტესად გავრცელებული იყო და თავს იწონებდა აღმოსავლეთ გურიაში, სახელდობრ ბუკისციხის, სურების, ჩოხატაურის და ხიდისთავის სანახებში.

ჩხავერისაგან ღია ვარდისფერი ან თეთრი, ნაზი, კქრიალა ღვინო დგებოდა. ეს ჯიში მთელ გურიაში ხარობდა, მაგრამ საუკეთესო პროდუქციას ბახვის, ასკანის, ლიხაურ-მაკვანეთისა და შემოქმედის თემებში იძლეოდა.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებამდე გურია-სამეგრელოს ღვინო დასავლეთ საქართველოში პირველობდა. ზღვის სიახლოვის წყალობით იგი საკმაო რაოდენობით გადიოდა საზღვარგარეთაც.

ვაზის ფორმირება, ჩვეულებრივ, მაღლარად ხდებოდა, სწორედ ამიტომ ნაცრის გაჩენამ გურიის მევენახეობას სასიკვდილო დარტყმა მიაყენა, ვინაიდან მაღლარად გაშენებული ვენახის მკურნალობა შეუძლებელი გახდა. ადგილობრივი მაღალხარისხოვანი ჯიშები სწრაფად განადგურდა. გურიის მევენახეობა სრული მოსპობისაგან „ადესის" შემოტანამ იხსნა. მაგრამ აქ მეღვინეობა ისე დაეცა, რომ ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში საკუთარი საჭიროების დაკმაყოფილებაც აღარ შეეძლო.

გურიის მევენახეობა-მეღვინეობის კრიზისი დღემდე გრძელდება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეეცადნენ გადაშენებისაგან ეხსნათ ჩხავერი (ჯანი უკვე ამოვარდნილი იყო) 1932 წელს ბახვში შექმნეს საბჭოთა მეურნეობა, მაგრამ მაღლარად ვაზის მოვლა ვერ შესძლეს. 1957 წელს სოფელ საჭამიასერში ჩამოყალიბდა ჩხავერის სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა. ვაზი დაბლარად გააშენეს. აღნიშნული მეურნეობა აქამდე ზარალზეა, რადგან დაბლარად გაშენებული ჩხავერი, არ ამართლებს — ძალიან მცირე მოსავალს იძლევა, თან საჭამიასერი არასდროს არ ყოფილა ამ ჯიშისათვის შესაფერისი კერა.

საქართველოს ყველა კუთხეში ხალხს მევენახეობისათვის ვერტიკალური ზონალობის და ცალკეულ ჯიშთა სავეგეტაციო მონაცემების გათვალისწინებით ჰქონდა ადგილი შერჩეული. ჩვეულებრივ, საუკეთესო სავენახე ზოლი იყო მდინარისპირებსა და მთას მოშორებული დამრეცი, მზვარე ადგილები, სადაც უხვი მზე და ნაკლები ყინვა იცოდა. ახლა ეს მზვარეები სოფლებმა დაიჭირა, ხოლო ვენახებმა ძირს ჭალებში ჩაინაცვლა. სწორედ ამან განაპირობა ვაზის მასობრივი მოყინვა, რამაც ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას დიდი ზარალი მიაყენა. ასე ძვირად დაგვიჯდა ხალხური ცოდნის შეუფასებლობა, ამიტომ არცერთი ნაკვეთი ვენახი არ უნდა გაშენდეს მოცემულ რეგიონში მცხოვრებ ძველ მევენახეთა გამოცდილების გაუთვალისწინებლად.

საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ქართული ტრადიციული მევენახეობა-მეღვინეობის შენარჩუნებისათვის განსაკუთრებულ ღონისძიებებს ატარებს. შარშან საუკეთესო ათი ჯიშის (ალადასტური, ალექსანდრეული, კაბერნე, კრახუნა, ოჯალეში, პინო, საფერავი, უსახელოური, ჩხავერი, ხიხვი) ყურძენს ფასი მოემატა, მაგრამ უპირველესად გასათვალისწინებელია, რომ ეს ჯიშები თავიანთი ისტორიული გავრცელების ადგილებში (უცხოური პინოსა და კაბერნეს გამოკლებით) იძლევიან მაღალხარისხოვან პროდუქციას. ამიტომ, ჩვენი აზრით, უფრო მიზანშეწონილია ისტორიულად ცნობილი საუკეთესო ღვინოების მიკრორაიონებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, განისაზღვროს (ყველგან, იქაც არ იძლევა ძვირფასი ჯიში ძვირფას ღვინოს) და მაქსიმალურად ათვისებული იქნას მიწის ეს ოქროდღირებული ფონდი, რომელიც გვაძლევს ხვანჭკარასა და უსახელოურს, ჩხავერსა და ოჯალეშს, ატენურს და ქინძმარაულს.

როგორ ტარდება ეს დადგენილება ცხოვრებაში, რა კეთდება ამ თვალთახედვით შესაბამისი მევენახეობის რაიონებში? ამ და სხვა ზემოთ წამოჭრილ საკითხებზე ჟურნალის შემდეგ ნომრებში გაგცემთ პასუხს.

**ლევან ფრუიძე,**

**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პედაგოგიური საბჭოს სხდომა №3

ჩვენ ასე წარმოგვიდგენია იდეალური სასკოლო ბუფეტი ან სასადილო: ყველაზე დიდ და მზიან ოთახში ქათქათა მაგიდებია, რომლებზეც დგას ჭიქა ხელსაწმენდებით და ლარნაკი დეკორატიული ან ცოცხალი ყვავილებით. სპეციალურ მაგიდაზე მთელი დღის საუზმის და სადილის მენიუა. იგი შედგენილია სხვადასხვა ჯგუფის მოსწავლეთათვის.

0-ჯგუფიდან 4 კლასის ჩათვლით მოსწავლეები იღებენ ორი თავი კერძისაგან შემდგარ ცხელ საუზმეს, რომლის ღირებულება არ აღემატება 15-20 კაპიკს. ამასთან, თითოეულ მათგანს ეძლევა ერთი ჭიქა რძე უფასოდ. მე-5 და მე-10 კლასების მოსწავლეებისათვის 2-3 თავი კერძისაგან შემდგარი სადილია გათვალისწინებული 20-25 კაპიკის ღირებულებით. გახანგრძლივებული დღის ჯგუფის მოსწავლეები მიირთმევენ 3-4 თავი კერძისაგან შემდგარ სადილს, რომლის ღირებულებაა 30 კაპიკი.

სასადილოში სხვადასხვა კლასები სხვადასხვა დროს შედიან. შესვენების ზარის დარეკვისთანავე მოსწავლეები იბანენ ხელს და მიემართებიან სასადილოსკენ, სადაც ხვდებათ მორიგე მოსწავლეების მიერ გაწყობილი მაგიდები თეფშებით, დანა-ჩანგლით, პურით, რძით, მაწვნით, კომპოტით, კისელით, ხილით. ბავშვებს საუზმეზე მიჰყვება კლასის ხელმძღვანელი. ახლა კლასის ხელმძღვანელი თავის მოწაფეებს სულ სხვა გარემოში ხედავს, უკეთ ეცნობა მათ, ასწავლის სუფრაზე ქცევის წესებს, თანამოსუფრის პატივისცემას. სასადილოში წესრიგი და სიჩუმეა. ეს იმიტომ, რომ სხვადასხვა კლასები ჩაბმულნი არიან კონკურსში — სანიმუშო წესრიგისათვის. სასადილოში მორიგეობენ მშობელთა კომიტეტის წევრები, რომლებმაც წინასწარ შეამოწმეს სანიტარული მდგომარეობა, კერძების ხარისხი, კალორიულობა... მთავრდება საუზმე. მოსწავლეები კმაყოფილნი გამოდიან სასადილოდან.

განსაკუთრებული მზრუნველობით და ყურადღებით არიან გარემოსილნი პატარები, დაწყებითი კლასების მოსწავლეები. სასაუზმეში მათთან ახლავთ მასწავლებელი, მაგრამ თუ სურთ, შეუძლიათ ისაუზმონ საკლასო ოთახშიაც, სადაც შესვენების დაწყებისთანავე იბანენ ხელს, ასუფთავებენ მერხს და მორიგე მშობლებს მოაქვთ ელემენტების საფასურად მოსრიალე მაგიდებით შემოაქვთ ბავშვებისათვის სასურველი, წინასწარ დაკვეთილი საუზმე.

არ გეგონოთ, რომ ბავშვის კვება სკოლაში მეორეხარისხოვანი საქმე იყოს. ცნობილია, რომ სწორი, რაციონალური კვება დიდ როლს თამაშობს ბავშვის ფიზიკურ ზრდა-განვითარებაში. თუ ბავშვი ჯანმრთელია, ის კარგადაც სწავლობს, გარდა ამისა, კალორიული კვება გავლენას ახდენს მოზარდის გონებრივ განვითარებაზეც. ამიტომ კარგახანია ბევრმა სკოლის დირექტორმა სკოლაში აკადემიური მოსწრებისათვის ბრძოლა კვებით, კერძოდ, სასკოლო ბუფეტების მუშაობის გაუმჯობესებით დაიწყო.

სხვანაირად არც შეიძლება. ჩვენი ბავშვების ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა, ისინი სკოლაში დიდ დროს ატარებენ. მაღალი კლასის მოსწავლეები 6-7 საათს არიან სკოლაში, უმცროსები კი — 4-5 საათს.

გონებრივი მუშაობა და ფიზიკური დატვირთვა ბავშვებისაგან დიდ ენერგიას მოითხოვს. ეს დანაკლისი კვებით უნდა ანაზღაურდეს. დამტკიცებულია, ერთი კვებიდან მეორე კვებამდე ხანგრძლივი შესვენება არასასურველ გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე, მის აკადემიურ მოსწრებაზე. ექიმების და პედაგოგების დაკვირვებით დადგენილია, რომ ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში საუზმობენ, ნაკლებად იღლებიან და დღის ბოლომდე ინარჩუნებენ შრომის უნარსა და მხნე განწყობილებას, ვიდრე ის ბავშვები, რომლებიც უგულებელჰყოფენ საუზმეს.

საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კვების ინსტიტუტის მონაცემებით, ბავშვი სკოლაში ენერგიის სახით საშუალოდ 500-600 კალორიას ხარჯავს. რა თქმა უნდა, აქ მხედველობაში არ არის მიღებული გზა, რომელსაც გადის ბავშვი სკოლამდე და სკოლიდან სახლამდე. ამ დაკარგული ენერგიის აღსადგენად აუცილებელია სრულფასოვანი კვება. ხშირად ბავშვი სახლში ვერც ასწრებს სრულყოფილად მიიღოს საკვები დილით, საუზმე ეხაროდ, ზოგჯერ უჭმელიც მიდის სახლიდან. ზოგიერთ ბავშვს შინიდან მიაქვს ბუტერბროტი ან ყიდულობს სკოლის ბუფეტში ნამცხვარს, თუნდაც ფუნთუშას. ეს საუზმე კი საშუალოდ შეიცავს 200-300 კალორიას, რაც არ არის საკმარისი ბავშვის ორგანიზმისათვის.

აუცილებელია ისეთი საუზმე, რომელშიც უთუოდ უნდა შედიოდეს რძის პროდუქტები, ბოსტნეული, ხილი. ერთი სიტყვით, ბავშვის საუზმე სწორად უნდა იყოს შედგენილი და მას ერთსადაიმავე დროს უნდა იღებდეს მოზარდის ორგანიზმი.

ცნობილია, რომ ბავშვები კოლექტივში უფრო მადიანად ჭამენ, ვიდრე შინ, ესეც სასკოლო ბუფეტების კარგად მოწყობის აუცილებლობაზე მეტყველებს. ჩვენს ქვეყანაში ბავშვთა კვებას დიდი ყურადღება ექცევა. ამისათვის შექმნილია სასკოლო კვების კომბინატები, რომლებიც სკოლის ბუფეტებს და სასადილოებს ამარაგებენ საუზმისა და სადილისათვის განკუთვნილი პროდუქტებით, ნახევარფაბრიკატებით, რძის პროდუქტებით, ფუნთუშეულით, ნამცხვრებით, ძეხვეულით. საბჭოთა კავშირის ბევრი ქალაქის სკოლებში ამ მხრივ იდეალური მდგომარეობაა, ისეთი, როგორიც წერილის დასაწყისში აღვწერეთ. განსაკუთრებით მდიდარი გამოცდილება აქვთ მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და ბალტიისპირეთის სკოლების ბუფეტებს. საქართველოში კი რატომღაც მხოლოდ ბოლო ხანებში მიექცა ჯეროვანი ყურადღება მოსწავლეთა კვების საკითხს.

ჩვენ შევისწავლეთ თბილისის რამდენიმე სკოლის ბუფეტის მუშაობა. ჩანს, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი და სავაჭრო ორგანიზაცია შეწყობილად, ერთსულოვნად მუშაობენ და მდგომარეობა უკეთესია. ზოგან კი, შეიძლება ითქვას, სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული ბავშვთა კვების საქმე. ამიტომაც მოვიწვიეთ ჩვენი პედაგოგიური საბჭოს სხდომა, დავასწარით მოსწავლეთა კვების საქმეზე უშუალო პასუხისმგებელი პირები. მოვისმინეთ მათი ინფორმაციები, სურვილები, პერსპექტივები, საკუთარი ნაკლოვანებების კრიტიკაც და დავსახეთ ერთობლივი ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

**სიტყვას ვაძლევთ შეკრების მონაწილეებს:**

**მარიამ მახარაძე, თბილისის 66-ე საშუალო სკოლის დირექტორი:**

ბავშვთა კვება მე პირველხარისხოვან საქმედ მიმაჩნია. თუ ბავშვი ჯანმრთელი არ არის, მას ვერც მოვთხოვთ, რომ კარგად ისწავლოს. სწორედ ამიტომ შეველიე ორ საკლასო ოთახს და ბუფეტის განკარგულებაში გადავეცი. მაგრამ 1.350 მოსწავლეზე ჩვენი სასადილო ოთახი მაინც პატარაა. შეკვეთილი გვაქვს 5 მაგიდა, რომლებსაც დამატებით ჩავდგამთ. საქმეს ეს მაინც არ უშველის. გამოსავალი, ჩემი აზრით, კლასებში საუზმის შეტანაა, ასე ვიქცევით დაწყებით კლასებში. აქ თეთრხალათიან მშობლებს შეაქვთ ბავშვებისათვის ცხელი საუზმე. ბავშვები ხვდებიან ხელდაბანილნი, მაგიდებზე ხელსაწმენდები უფარიათ.

მინდა მოვსინჯო და მაღალ კლასებშიც შევიტანოთ საუზმე. განსაკუთრებით ვზრუ-



ნავთ გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებზე. ამ ჯგუფების 50 ბავშვი უფასოდ იღებს საუზმეს. მათ სამჯერადი კვება აქვთ. სადილი შედგება სამი თავისაგან.

გარდა ამისა, კიდევ 100 მოსწავლეა განთავისუფლებული კერძების საფასურის გადასახადისაგან. ამ შეღავათით სარგებლობენ მრავალშვილიანი ოჯახების შვილები. ფულის მაგიერ ვიყენებთ აბონემენტებს.

სასადილოში ყველა კლასს თავისი საათი აქვს გამოყოფილი. იქ მორიგეობენ მასწავლებლები და მშობლები. ისინი ამოწმებენ საუზმის თუ სადილის ხარისხს.

ჩვენი ბავშვების კერძები გემრიელი და ყუათიანია, მაგრამ მრავალფეროვნება აკლია, მაგალითად, იშვიათად გვაქვს ხილი, ბოსტნეული, კვერცხი, რაც ესოდენ აუცილებელია მოზარდისათვის. იქნებ სავაჭრო ორგანიზაციებმა გაითვალისწინონ ეს ჩვენი მოთხოვნა.

ჩემი აზრით მოსაგვარებელია კიდევ ერთი საკითხი: გამოცდების დროს ბუფეტი დაკეტილია, რაც არ მიმაჩნია მიზანშეწონილად. ბავშვებს ხომ მაშინაც უნდათ საუზმე!?

**გ ი ვ ი  ჩ ი ხ ლ ა ძ ე, თბილისის 67-ე საშუალო სკოლის დირექტორი:**

კარგი, კეთილმოწყობილი სასადილო შეიძლება მაშინ გვექნეს, როდესაც სამედიცინო სასწავლებელი გადავა ჩვენგან და ოთახები განთავისუფლდება. მანამდე კი, იძულებული ვართ ერთი პატარა ოთახით დავკმაყოფილდეთ, სადაც ერთდროულად მხოლოდ 20-მდე ბავშვს შეუძლია ისაუზმოს.

ხელსაბანი ბუფეტთან ახლოს არ არის, მაგრამ ამ საქმეს უსათუოდ მოვაგვარებთ.

ბუფეტს ნამდვილად ჩვენგან მეტი ყურადღება სჭირდება. ცხელი კერძებით ძირითადად გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეები სარგებლობენ. სხვა მოსწავლეები კი აგრერიგად არ ეტანებიან ბუფეტში საუზმეს, შეიძლება იმიტომაც, რომ ,იქ კატლეტი თუ სოსისი იშვიათად არის თბილი, არა გვაქვს კერძების მრავალსახეობა, ბავშვებს ბეზრდებათ ჩაი, რძის პროდუქტები, ხაჭაპური, ნამცხვარი...

ჩემი აზრით, შეიძლება დაისვას საკითხი და მოძმე ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სკოლების მსგავსად, ჩვენთანაც გახანგრძლივებული დღის ჯგუფების მოსწავლეებმა საუზმე უფასოდ მიიღონ.

**ლ ი დ ა  ტ ო მ ა რ ა ძ ე, თბილისის ßß-ე საშუალო სკოლის მებუფეტე:**

24 წელია ამ სკოლის ბუფეტში ვმუშაობ და არ მახსოვს ბავშვი უკმაყოფილო გამეშვას. იმდენად შეჩვეული ვარ ბავშვებს, რომ ზეპირად ვიცი, ვის რა უყვარს, რა ესიამოვნება.

სამსახურში დილით შვიდის ნახევარზე ვცხადდები. ხომ ნახეთ, როგორი ქათქათი გააქვს ბუფეტში ყველაფერს, როგორ გავალამაზეთ დეკორატიული ფარდებით სასადილო, მოვაწყეთ ხელსაბანები და ხელისაშრობები. იმას, რაცა გვაქვს, მოვლა და პატრონობა სჭირდება. მეც დამატებით ვასუფთავებ ყველაფერს, მერე ვადგამ ჩაის, კაკაოს, კისელს, ვცდილობ კვების კომბინატიდან წამოვიღო ყველაფერი, რაც ბავშვებს უყვართ — ბუტერბროტები, ძეხვეული, წვენები. ჩვენი სკოლის ბავშვები სადილებს არ ეტანებიან, სამაგიეროდ საუზმისათვის ყველაფერი გვაქვს. მესამეკლასელები ზემოსართულზე არიან და არ ვაწუხებთ დაბლა ჩამოსვლით. მათთვის ზემოთ ვაგზავნით საუზმეს.

**ს ა ხ ი დ  ქ ე რ ი მ ო ვ ი, თბილისის 71-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე:**

სკოლა აზერბაიჯანულია, აქ 900-მდე ბავშვი სწავლობს. სკოლაში ბავშვები დადიან სოფელ სოღანლუღიდან, რომელიც დიდი ხანი არ არის რაც თბილისს შეუერთდა.

ბუფეტი არ გვაქვს, უფრო სწორად, გვქონდა და დავკეტეთ. ეს იმიტომ, რომ წყალი არ არის, წყალი არა გვაქვს საერთოდ სკოლის მთელ ტერიტორიაზე. ამისთვის კი არავინ იწუხებს თავს, არც თბილისის განათლების განყოფილება, არც განათლების სამინისტრო. 120 მეტრი სიგრძის მილები გვინდა, რომ წყალი გამოვიყვანოთ. მილები რომ გვაშოვნინა, ჩვენი ხელით გამოვიყვანდით, მაგრამ აბა, საიდან?..

ბავშვები კი მშივრები მეცადინეობენ. არც იქნება ბუფეტი, სანამ წყალს არ გამოგვიყვანენ.

**რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ: ძალზე მძიმე მდგომარეობაა 71-ე სკოლაში, წარმოუდგენელია დღევანდელი სკოლა უწყლოდ. ბუფეტს თავი დავანებოთ, ხანძარი რომ გაჩნდეს, სკოლას მისი ჩაქრობის საშუალებაც არა აქვს. რას ფიქრობენ რაიონის, ქალაქის, განათლების მუშაკები? იციან კი ამის შესახებ?**

**ნ ა ზ ი  ა დ ე ი შ ვ ი ლ ი, სასკოლო კვების № 1 კომბინატის ინსპექტორი:**

ჩემი ძირითადი მოვალეობაა სასკოლო ბუფეტების მდგომარეობის შესწავლა და მათი საჭიროების გათვალისწინება. მე თითქმის ყოველდღიურად მიხდება სკოლებში ყოფნა და მაფიქრებს ზოგიერთი საკითხი, რაც ჯერ კიდევ მოუგვარებელია.

ცნობილია, რომ თბილისის უმრავლეს სკოლებში ბუფეტები ძალზე პატარა, შეუფერებელ ოთახებშია მოთავსებული, სადაც მაგიდათა რაოდენობა ვერ აკმაყოფილებს მოსწავლეთა კონტინგენტს, ზოგიერთ სკოლაში მხოლოდ 1 მაგიდა დგას, ზოგან არც ერთია. ამ სკოლებში გულისხმიერი და საქმით დაინტერესებული დირექტორები რომ იყვნენ, ალბათ, რაიმე საშუალებას გამოძებნიდნენ და ბავშვთა კვება უფრო ნორმალურ პირობებში მოეწყობოდა. პირიქით, ჩვენს მინიმალურ მოთხოვნაზე, რომ კლასებში მაინც შეიტანონ საუზმე და იქ ასაუზმონ ბავშვები, უარს ამბობენ, საკლასო ოთახები დანაგვიანდებაო. სისუფთავეზე ზრუნვის მომიზეზებით, ბავშვთა ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებენ. უფრო მეტიც, ზოგმა დირექტორმა ისიც კი თქვა: ჩვენთვის მთავარია სწავლა და არა კვებაო.



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

მე მგონი, დროა ყველამ შეიგნოს, თუ გვსურს განათლებული ადამიანები აღვზარდოთ, პირველ რიგში, ისინი ჯანმრთელნი უნდა იყვნენ.

მე ვაკვირდები ბავშვების მოთხოვნილებებს, გემოვნებას და ვრწმუნდები, რომ ჩვენი კვების კომბინატი ზოგჯერ ისეთ კერძს აგზავნის, რაც ბავშვებს არ მოსწონთ. მაგალითად, მუხუდოს სუპს ბავშვები პირს არ აკარებენ, ასევე არ მოსწონთ კარტოფილიანი ლობიო. ცალკე ლობიოს და ცალკე კარტოფილს კი, ალბათ, სიამოვნებით შეექცეოდნენ. არადა, ჩვენ მაინც იმ რეცეპტურის ტყვეობაში ვრჩებით, რასაც ზემოდან გვთავაზობენ.

თითქმის ყველა ბავშვს უყვარს სოსისი; ერთი ულუფა საკმაოდ მოზრდილ პურსა და 35 გრამ სოსისს ითვალისწინებს. სოსისი ნამდვილად არ ჰყოფნით ბავშვებს, ხომ შეიძლება კომბინატმა, სადაც მას ამზადებენ, გაზარდოს სოსისის ნორმა 50 გრამამდე, სამაგიეროდ შემცირდეს პურის რაოდენობა. პური გასაფუჭებლად და გადასაგდებად რად უნდა გავიმეტოთ.

ამაზე უნდა ვიფიქროთ და საქმე ისე მოვაწესრიგოთ, რომ ჩვენი მომხმარებელი-მოსწავლე კმაყოფილი გვყავდეს.

**ე. ქართველიშვილი, სასკოლო კვების № 1 კომბინატის დირექტორი:**

ჩვენ ვამზადებთ საუზმეებს და სადილებს მხოლოდ სასკოლო სასადილოებისა და ბუფეტებისათვის. საამისოდ კარგი, თანამედროვე აღჭურვილობა გაგვაჩნია, გვყავს კარგი სპეციალისტები.

სკოლებისათვის ვამზადებთ ცხელ და ცივ საუზმეებს, საკონდიტრო ნაწარმს, რამდენიმე თავი კერძისაგან შემდგარ სადილებს უმთავრესად გახანგრძლივებული დღის ჯგუფებისათვის. ვინაიდან ჩვენ სკოლებში ძირითადად გამზადებულ საჭმელს ვაგზავნით, მათ ადგილზე გაცხელება სჭირდება. გაცხელებისას საჭმელი ჰკარგავს გემოს, ხარისხს. მიზანშეწონილია ბუფეტებს ზოგი რამ ნახევარფაბრიკატების სახით მივაწოდოთ, რომელთაც შესწვავენ ან მოხარშავენ უფრო იოლად.

ჩვენი ერთ-ერთი ნაკლი ის არის, რომ სასკოლო სადილების მენიუ ღარიბია ბოსტნეულის სალათებით. ბოსტნეულს ვღებულობთ სასადილოების № 1 ტრესტის ბაზიდან, მაგრამ ბოსტნეული ხშირად უხარისხოა. უმჯობესია, თუ უშუალოდ მეურნეობას მიგვამაგრებენ. მაშინ შეიძლება გადაგვეწყვიტა ბავშვებისათვის ხილის მიწოდების საკითხიც.

ცხადია, ყველა კერძი ვერ არის მაღალხარისხოვანი. შემოვიღეთ ხარისხის დღე, როცა ხდება დამზადებული კერძების დეგუსტაცია: ვსინჯავთ, ვმსჯელობთ, ვსახავთ ხარისხის ამაღლების გზებს. ჩვენი მუშაობა დადებითად შეფასდება მაშინ, როცა მოსწავლეები კერძებით კმაყოფილი იქნებიან.

**ნათელა რუხაძე, № 1 სასადილოების ტრესტის დირექტორი:**

სასკოლო კვების № 1 კომბინატი, რომელიც სკოლის ბუფეტებისა და სასადილოების გარკვეულ რიცხვს ემსახურება, ჩვენს ტრესტში შემოდის. ამიტომ უშუალოდ ვართ დაინტერესებული სასკოლო ბუფეტების მომარაგებით და მომსახურებით.

მართალია ამხანაგების შენიშვნა, რომ ხილის ქვეყანაში ვცხოვრობთ და მოსწავლეებს სისტემატურად ვერ ვაწვდით ხილს, არც ბოსტნეულის კერძები გვაქვს ჭარბად. ბოსტნეულით ქალაქის მომარაგება, მოგეხსენებათ, გასულ წელს, წინა წლებთან შედარებით, მკვეთრად გაძლიერდა, ასე, რომ თანდათანობით ჩვენს ბუფეტებში გაჩნდა მისგან დამზადებული კერძები. მაგრამ, საკმარისად მაინც არა. ვფიქრობთ, მომავალში ყოველდღიურად მიიღებენ ჩვენი ბავშვები ბოსტნეულის სალათებს და ხილს.

დღესდღეობით სკოლებში სადილების და საუზმეების ხარისხი დამაკმაყოფილებელი არ არის. ბავშვებს უფრო გემრიელი და მაღალხარისხოვანი კერძები უნდა მივაწოდოთ. ამისათვის მაღალკვალიფიციური მზარეულები გვჭირდება. ასეთი მზარეულები კი კომბინატებში არა გვყავს. საჭიროა კარგი მზარეულების მოზიდვა სასკოლო კვების კომბინატებში.

შემჩნეულია, რომ პური უყაირათოდ იხარჯება, ამიტომ აჯობებდა მისი ნორმის შემცირება, ან უკეთეს შემთხვევაში, 50-გრამიანი ფუნთუშების გამოშვება, რომლებიც პურის მაგივრობას გასწევდა. ბავშვი ფუნთუშას არ გადააგდებს, ამასთან იგი მიეჩვევა პურის მოფრთხილებას და მხვნელ-მთესველთა შრომის დაფასებას.

**თამარ სულაქველიძე, ექიმი, ავტორი წიგნისა „ადამიანის საჭმელი“.**

აქ ბევრი ამხანაგის საინტერესო გამოსვლა მოვისმინე. უფრო ადრე კი სკოლის ბუფეტები დავათვალიერე და ჩემი მოსაზრებანი შევიმუშავე.

მე მიმაჩნია, რომ თბილისის სკოლებში ბუფეტების მუშაობა უნდა გარდაიქმნას. ყველგან ერთნაირი კერძები ვნახეთ და გულახდილად რომ გითხრათ, მათი ხარისხი ჯერ კიდევ სრულფასოვანი არ არის. ბავშვი მიზეზიანი და მომთხოვნია. მას თუ გემრიელი არ აგემე, თუ ნაირნაირი არ მიაწოდე, მოიბეზრდება, პირს არ დააკარებს და საერთოდ ბუფეტს არც გაეკარება. აი, რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სასკოლო კვების მესვეურებს.

ზედმეტად მიმაჩნია სასკოლო ბუფეტებში ძვირფასი კამფეტებით და ნამცხვრებით ვაჭრობა. ისინი ხელმიუწვდომელიცაა და ბავშვებს მადასაც უკარგავს. შეიძლება ერთმა იყიდოს, შეჭამოს, მაგრამ მეორე ვერ იყიდის და თავს დაჩაგრულად იგრძნობს.

გარდა ამისა, მართალია საბონემენტო სისტემამ მოიკიდა ფეხი, მაგრამ ზოგიერთი ბავშვი მაინც ფულით იძენს საუზმეს, რაც პედაგოგიურადაც და ჰიგიენურადაც დაუშვებელია.

ვერცერთ სასკოლო ბუფეტში ვერ ვნახე მუყაოს ჭიქები, ამით ხომ თავს დავიზღვევდით ზოგიერთი დაავადებისაგან. როგორც პირად საუბარში მითხრეს, სასკოლო კვების № 1 კომბინატში აქვთ ასეთი ჭიქები, მაგრამ მებუფეტეებს არ მიაქვთ იმიტომ, რომ ბავშვები ხმარების შემდეგ ძირს დაყრიან და იქაურობას დაანაგვიანებენო. ხომ მოგეხსენებათ, როგორ მოედება ხოლმე სკოლებს ბოტკინის ან სხვა დაავადებანი სწორედ ბუფეტების წყალობით.

სასკოლო ბუფეტებში ჩვენ არა გვაქვს 30-50-გრამიანი ხაჭო, რძე და მაწონი 250-გრამიან ქილებში. საჭიროა ამაზე იფიქროს რძის კომბინატმა.

მოსკოვისა და სხვა ქალაქების სკოლების ბუფეტების გამოცდილებიდან ვიცით, რომ იქ სასადილოებში ინერგება თვითმომსახურება, ხოლო ბუფეტებში უგამყიდველო ვაჭრობა. მტკიცედაა დანერგილი აგრეთვე კლასებში უმცროსკლასელების მომსახურება. ჩვენთვისაც არ იქნებოდა ურიგო ამ გამოცდილების გადმოღება.

პედსაბჭოს დღევანდელ სხდომაზე აღინიშნა, რომ ზოგიერთ სადილს ბავშვები პირს არ აკარებენ, უკეთესი ხომ არ იქნება მათ ეროვნული კერძებით გავუმასპინძლდეთ, იმით, რაც უყვართ და რაზეც მიჩვეულნი არიან. არ უნდა დაგვავიწყდეს აგრეთვე, რომ ყოველ სეზონს თავისი საჭმელები შეეფარდება.

მისასალმებელია მოსკოვის სკოლების ბუფეტების თაოსნობა. იქ სკოლები ჩაბმულნი არიან სოცშეჯიბრებაში მოსწავლეთა უკეთ გამოკვებისა და მომსახურების ნიშნით. გავაჩაღოთ ასეთი შეჯიბრება თბილისის სკოლებშიც.

**რედაქციისაგან:**

**ჟურნალ „საქართველოს ქალის“ პედაგოგიური საბჭოს სხდომის მონაწილეებმა, რომლებმაც განიხილეს სასკოლო ბუფეტებისა და სასადილოების მუშაობის საკითხი, გამოთქვეს სურვილები, რომ სკოლის დირექტორებმა მეტი ყურადღება მიაქციონ ბუფეტების მუშაობას, გამოჰყონ მათთვის შესაფერისი ოთახი, გაზარდონ მაგიდების რაოდენობა, მიმზიდველი და კეთილმოწყობილი გახადონ მოსწავლეთა სასაუზმე; სავაჭრო ორგანიზაციებმა უფრო მრავალფეროვანი ასორტიმენტის პროდუქტები მიაწოდონ სასკოლო ბუფეტებს, დაამზადონ ხარისხიანი საუზმე თუ სადილი, გაითვალისწინონ ბავშვების გემოვნება და დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილება, გაზარდონ რძის ნაწარმის, ბოსტნეულის და ხილის შეზიდვა ბუფეტებში; მებუფეტეებმა მტკიცედ დაიცვან საბონემენტო სისტემა. გულისხმიერად მოემსახურონ მოსწავლეებს, შეუქმნან მათ მადიანი საუზმობის პირობები — ჰიგიენის დაცვით, მაგიდების ლამაზად გაწყობით, კერძების მიმზიდველად გაფორმებით. არცერთი მოსწავლე არ დარჩეს ბუფეტის მომსახურებით უკმაყოფილო!**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უმისამართო ბარათები

## ჩემი დაღლილი დედა

საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე ვარ, 17 წლისა. მყავს ორი პატარა ძმა და მშობლები. ადრე სანიმუშოდ. ვსწავლობდი, მერე კი ყველაფერი შეიცვალა. სწავლა, შრომა და მშობლების პატივისცემა, — ყველაფერი ეს ჩემთვის მეორეხარისხოვნად იქცა. ჩემს ადრინდელ კარგ ჩვევებს ჩემი ახირებული ჯიუტობა უსწრებდა. დედა ამის გამო ნერვიულობდა, საშინლად იტანჯებოდა, მაგრამ მე ამას ყურადღებას არ ვაქცევდი და ჩემი გამქონდა. მახსოვს, დედა ზოგჯერ სამი-ოთხი დღით ჩაწვებოდა ხოლმე ლოგინში. მე წიგნს ხელში არ ვიღებდი, საითაც მსურდა, იქით მივდიოდი. დედა კი თავის მოვალეობას, როგორც ყოველთვის, ისე ასრულებდა. ხან მთელ ღამეს საქმეში გაათენებდა. რომ გამოვიღვიძებდით, ის ისევ საქმიანობდა. ჩემმა სიჯიუტემ და დაუფიქრებლობამ აი რა შედეგი გამოიღო: დედა ავად გამიხდა. ექიმების გამოკვლევით, ძლიერი შეტევითი გულის ასთმა დაუდასტურდა. მისი გასაკეთებელი ჩვენ — შვილებსა და მამას გაგვიხდა. ადრე დედა საქმით ძალიან იტვირთებოდა და იღლებოდა, მაგრამ არასოდეს დაუყვედრებია ჩვენთვის, ახლა კი...

უკვე ოთხი თვეა, ჩემი დედა საწოლზეა მიჯაჭვული. ძლიერი ხველა რომ აუვარდება, ხან გული მისდის ხოლმე. ხშირად გულწასული დედა მე მომიბრუნებია. დიახ, ჩემს გამო ნერვიულობამ დედა სამუდამო ხეიბრად აქცია. რა ვქნა, რით ვუშველო?

გადავწყვიტე, ეს ჩემი გულახდილი აღსარება დამეწერა და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციისათვის გამომეგზავნა. ამ ჟურნალს ხომ ყველა დედა და შვილი წაიკითხავს. ახლა ჭკუაში ჩავვარდი, ისევ სწავლას დავუბრუნდი, მშობლებს პატივს ვცემ. შრომაც ისევ შემიყვარდა. ამ წელს მეათე კლასს რომ დავამთავრებ, — ვეუბნები დედას, — კოლმეურნეობაში ვიმუშავებ და როდესაც ჯარში გაწვევის დრო მომივა, წავალ, დედა, და სამშობლოს სადარაჯოზე დავდგები, რომ მშვიდობა იყოს, და ყველა შვილს დედა ცოცხალი და ჯანმრთელი ჰყავდეს.

იცით, კიდევ რას ვოცნებობ? თავი ვისახელო, მერე ჩვენი რაიონის გაზეთში იყოს ჩემი სურათი, იქნებ, ამას რომ ნახავს, დე[illegible] სამუდამოდ მოურჩეს.

[illegible] მახლობლები და მეზობლები ხშირად მაგონებენ ხოლმე: საწყალ ქალს ყველაფერი ნერვიულობით დაემართაო.

ერთ ღამეს სიზმარი ვნახე, ვითომ დედა, ადრინდელივით ჯანმრთელი და მხიარული, მხნედ იყო. მე ეს მიხაროდა და ვამბობდი: ახლა ხომ არავინ გამაგონებს „საწყალ ქალს ყველაფერი ნერვიულობით დაემართაო“.

მაპატიე, დაღლილო დედა!

**თამაზ ჩერქეზიშვილი**

**რედაქციისაგან:**

**ეს წერილი რედაქციამ ორი წლის წინ მიიღო. ავტორი თავის მისამართს არ გვატყობინებდა და ამიტომ მაშინ მისი დაბეჭდვა მიზანშეწონილად არ ვცანით. ამ ორი წლის განმავლობაში თამაზ ჩერქეზიშვილის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვლებოდა, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, უცვლელი დარჩა მისი გულმხურვალე სიყვარული დედისადმი და ის გულწრფელი სინანული, რომელიც ამ ბარათის სტრიქონებში ამოვიკითხეთ.**

## გთხოვთ მიპასუხოთ

ვიცი, რედაქციაში ბევრი გულმოკლული ადამიანის წერილს ღებულობთ და ჩემი ამბავიც მინდა შეგატყობინოთ. ვსწავლობ მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლის მეათე კლასში. ქართულს ამ სკოლაში ერთი დიდგულა, ამპარტავანი ქალი ასწავლის, რომელსაც მოსწავლეებთან თავი ისე უჭირავს, თითქოს, რომ გელაპარაკება, დიდ პატივს დებს. უკადრისია, აქაოდა, ნასწავლი ვარო.

ამ მასწავლებელმა ერთხელ ისეთი სიმწარე მანახვა, რომ გეფიცებით, ქმარ-შვილის პატრონი ქალი ვარ, არც ისე პატარა ხნოვანებისა და დღემდე ასეთი არაფერი გამომიცდია.

ერთ საღამოს საკონტროლო წერა გვქონდა გეომეტრიაში. რომ დავწერეთ, რვეულები მოვკრიბე და სამასწავლებლოში შევიტანე. ჩემი ქართულის მასწავლებელი იქ დამიხვდა და ხმამაღლა მითხრა: „ქალბატონო, მე რომ დაგავალე ჯემპრი და „საპოჟკები“ თუ შეგხვდეს სადმე, ამიღეთქო, სადაა დაპირებული?“.

ვუპასუხე: მაღაზიაში არ ყოფილა და როგორ ამეღო-მეთქი?

ამაზე მითხრა: — შენ და შენისთანებს თავი რომ გავუყადრე, ყველაფრის ღირსი ვარო.

მე ცრემლები მომაწვა: რატომ კადრულობთ, მასწავლებელო, ასეთ ლაპარაკს, განა მასწავლებელი რომ არა ვარ, არ მესმის, ვის როგორ უნდა მივმართო-მეთქი?

ამაზე გაცეცხლებულმა შემომიტია: გაეთრიე ჩქარა აქედანო!

ნეტავ, მიწა გამსკდომოდა და შიგ ჩავვარდნილიყავი. არ მახსოვს, სახლში როგორ მივედი, მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. ვწყევლიდი იმ დღეს, როცა საღამოს სკოლაში მივედი, ვწყევლიდი ჩემს გაჩენას, რომ ცხოვრებამ არ გამიმართლა და დროზე ვერ დავამთავრე საშუალო სკოლა.

თავზარს მცემდა იმის გაფიქრება, რომ ისევ იმ სკოლაში უნდა მივსულიყავი და იმ ხალხისთვის შემეხედა, ვინც ჩემს შერცხვენას ესწრებოდა.

ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, რად მაკადრა ეს სიტყვები? მე ქმარშვილიანი ქალი ვარ, პატიოსანი ოჯახი მაქვს. რითი დავიმსახურე ასეთი ლაფდასხმა?

მიპასუხეთ, პატივცემულო რედაქციავ, განა აქვს უფლება ასეთ ადამიანს თავის თავს პედაგოგი უწოდოს? ასწავლოს იმათ, ვისაც ლაპარაკის და სალმის მიცემის ღირსადაც არა სთვლის?

ქ. ბ.

## ბავშვებზე

X X X

— დედამ მითხრა, ამ ზაფხულს შავ ზღვაზე უნდა წაგიყვანოო...

— მერე რა, მეც კი ვიყავი შავ ზღვაზე, მაგრამ სულ ლურჯად იყო შეღებილი.

X X X

ნანა ხელებს იბანდა. საპნის სახელი ვერ მოიგონა.

— დედა, მომეცი ის, აი, სარეცხს რომ ვბანთ...

X X X

დედამ ცელქობისათვის დასაჯა რუსუდანი.

— ნეტავ მე ვიყო დედა და შენ შვილი, — ინატრა პატარამ.

— მერე და რას იზამდი? — შეეკითხა დედა.

— არასდროს არ დაგსჯიდი.

ფიქრია ქარქაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## რეზუს-კონფლიქტი

რეზუს-ფაქტორი — ასე უწოდეს მეცნიერებმა განსაკუთრებულ ნივთიერებას, რომელიც აღმოჩენილი იქნა სისხლის ერითროციტებში. ეს ფაქტორი გააჩნია მოსახლეობის დაახლოებით 85 პროცენტს. ბავშვი ამ თავისებურებას მშობლებისაგან იღებს შთამომავლობით.

სისხლში რეზუს-ფაქტორის არსებობა არავითარ გავლენას არ ახდენს ორგანიზმის ჯანმრთელობაზე. მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის გადასხმის დროს. თუ ადამიანს, რომლის სისხლი რეზუს-უარყოფითია, გადაუსხეს რეზუს-დადებითი სისხლის მეტად მცირე რაოდენობაც კი, ორგანიზმში გამომუშავდება განსაკუთრებული დამცველი ანტისხეულები.

რეზუს-ანტისხეულები კი იწვევენ ორგანიზმში წარმოშობილი ერითროციტების შეწებებას და დაშლას. ანტისხეულების კონცენტრაცია, ანუ მისი ტიტრი, კიდევ უფრო იზრდება შეუთავსებელი სისხლის ხელმეორედ გადასხმისას.

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ რეზუს-უარყოფითი სისხლის მქონე ორსული ქალის მომავალ ბავშვს შთამომავლობით გადაეცა მამის რეზუს-დადებითი სისხლი. პლაცენტური ბარიერის საშუალებით ბავშვის სისხლის რეზუს-ფაქტორი შეაღწევს რა დედის სისხლში, იწყებს იქ ანტისხეულების გამომუშავებას, ანტისხეულები კი იწვევენ ერითროციტების დაშლას.

„ბრძოლის ველი“ პლაცენტის საშუალებით ნაყოფშიც გადაინაცვლებს, რასაც მოჰყვება მისი ერითროციტების გაძლიერებული დაშლა. წარმოიშვება ე. წ. რეზუს-კონფლიქტი. მაგრამ, საბედნიეროდ, ანტისხეულები რეზუს-უარყოფითიანი ქალის სისხლში არც ისე ხშირად წარმოიშვება. ეს დამოკიდებულია პლაცენტის განვლადობაზე, ორგანიზმის რეაქტიულობაზე და ა. შ.

პირველი ორსულობის დროს რეზუს-უარყოფითი სისხლის მქონე ქალის ორგანიზმში ანტისხეულები მცირე რაოდენობით წარმოიქმნება, რაც არ აზიანებს ნაყოფს და იგი ჩვეულებრივად ჯანსაღი იბადება.

მაგრამ, რამდენადაც ნაყოფის რეზუს-ფაქტორი მშობიარობის დროს შეიჭრება მშობიარის ორგანიზმში, ყოველი შემდგომი ორსულობისას მგრძნობელობა ამ ფაქტორისადმი იზრდება ანტისხეულების ზრდასთან ერთად, იქმნება საშიშროება ბავშვისათვის, რომელსაც შეიძლება განუვითარდეს ჰემოლიზური დაავადება. ამ დაავადებას საფუძვლად უდევს ერითროციტების გაძლიერებული დაშლა, რასაც მოჰყვება ე. წ. არაპირდაპირი ბილირუბინის დიდი რაოდენობით წარმოშობა. ეს ნივთიერება უჯრედისათვის საწამლავს წარმოადგენს, იწვევს მათი სუნთქვის შემცირებას, ზოგიერთი ფერმენტის ბლოკირებას და ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე მოშლილობას ე. წ. ბირთვული სიყვითლის განვითარებით.

ანსხვავებენ ჰემოლიზური დაავადების სამ ფორმას: ზოგად თანდაყოლილ შეშუპებას, ახალშობილთა მძიმე სიყვითლეს და თანდაყოლილ ანემიას. მათ შორის პირველი უფრო საშიშია, მაგრამ შედარებით იშვიათად გვხვდება.

უფრო ხშირად ვითარდება ახალშობილთა სიყვითლე, როცა ბავშვი შეიძლება დაიბადოს ყვითლად შეფერილი კანით. ზოგჯერ ახალშობილი სავსებით ჯანმრთელად გამოიყურება. მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ კანი ღებულობს მოყვითალო შაფრანისებურ შეფერილობას. ბავშვი მოდუნებულია, ნაკლებად მოძრავი, ცუდად წოვს ძუძუს. მძიმე შემთხვევაში ადგილი აქვს ტემპერატურის მომატებას, მოუსვენრობას, სუნთქვის დარღვევას, ფილტვების ანთებას. ყველა შემთხვევაში რამდენიმე კვირის შემდეგ ვითარდება სისხლნაკლებობა (ანემია).

შედარებით ნაკლებ საშიშია ჰემოლიზური დაავადება შეშუპებისა და სიყვითლის გარეშე, რაც ძირითადად სისხლნაკლებობით გამოიხატება.

დღეისათვის მეცნიერებმა შეიმუშავა დაავადების ყველა ფორმისადმი ბრძოლის ქმედითი მეთოდები. კარგ შედეგს იძლევა სისხლის შენაცვლებითი გადასხმა. ამ შემთხვევაში ორგანიზმიდან იდევნება ტოქსიკური არაპირდაპირი ბილირუბინი და ანტისხეულები.

მაგრამ მკურნალობის წარმატებისათვის საჭიროა მისი დაწყება ბავშვის სიცოცხლის პირველსავე საათებში და მის დაბადებამდეც კი, რაც გულისხმობს დედის საგულდაგულო გამოკვლევას.

უპირველეს ყოვლისა, მომავალ დედას უკვლევენ სისხლს რეზუს-ფაქტორზე. თუ ის აღმოჩნდა უარყოფითი, ხოლო მეუღლისა — დადებითი, შემდგომში პერიოდულად მოწმდება ანტისხეულების არსებობა და მისი ტიტრი.

ექიმები მხედველობაში იღებენ იმ გარემოებას, რომ დედისა და ნაყოფის რეზუს-შეუთავსებლობასთან ერთად შეიძლება ადგილი ექნეს სისხლის შეუთავსებლობასაც ზოგიერთი ინდივიდუალური ფაქტორების მხრივ, ამიტომ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ქალს სისხლი რეზუს-დადებითი აქვს, მაგრამ წინა მშობიარობები მიმდინარეობდა არაფიზიოლოგიურად, საჭირო ხდება ცოლისა და ქმრის სისხლის დამატებითი გამოკვლევა დროული ღონისძიებების მისაღებად.

ქალებს, რომლებსაც აღენიშნებათ ანტისხეულების ზრდა სისხლში, უტარდებათ სპეციალური გამაფრთხილებელი მკურნალობა მშობიარობის საწყის, შუა და ბოლო ხანებში. ამისათვის იყენებენ სხვადასხვა მედიკამენტებს, ულტრაიისფერ დასხივებას, ოქსიგენთერაპიას (ჟანგბადით მკურნალობა), უნიშნავენ სპეციალურ დიეტას.

ბოლო წლებში გამოცადეს პროფილაქტიკის ახალი მეთოდი: ორსულ ქალს უნერგავენ ქმრის კანის მცირე ნაწილს. ასეთი მარტივი ოპერაციის შემდეგ ორგანიზმში მიმდინარე პროცესები იწვევენ ანტისხეულების ტიტრის შემცირებას.

მთელი ორსულობის განმავლობაში ექიმები დიდ ყურადღებას უთმობენ მომავალი დედისა და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას. განსაკუთრებით დიდი შესაძლებლობები არსებობს ამ მხრივ სპეციალიზებულ სამშობიარო სახლებში.

თანამედროვე აპარატურა საშუალებას იძლევა ჩატარდეს ნაყოფის ფონო და ელექტროკარდიოგრაფია. ნაყოფის ახლომდებარე სითხის და მთელი რიგი სხვა გამოკვლევებით შესაძლებელია სხვადასხვა გადახრებისა და მოსალოდნელი საშიშროებების დადგენა. ამის საფუძველზე ზოგჯერ საჭირო ხდება მშობიარობის ნაადრევად გამოწვევა.

მთელი რიგი ეფექტური ღონისძიებების დამუშავების შედეგად რამდენჯერმე შემცირდა ჰემოლიზური დაავადებისაგან ბავშვების დაღუპვის შემთხვევები, ასევე იშვიათი გახდა ამ დაავადების მძიმე ფორმებიც.

შეიქმნა რეზუს-კონფლიქტის თავიდან აცილების კიდევ უფრო ეფექტური საშუალება სპეციალური პრეპარატის — ანტირეზუსიმუნოგლობულინის მეშვეობით.

ყოველივე ზემოთქმულიდან ორი დასკვნის გამოტანა შეიძლება:

ორსულობის შემთხვევაში ქალმა უნდა მიმართოს ექიმს და იყოს მისი მეთვალყურეობის ქვეშ;

პირველი ორსულობის შეწყვეტა აბორტით ყოველთვის საშიშია, ხოლო რეზუს-უარყოფითი სისხლის მქონე ქალებისათვის — დაუშვებელი.

რეზუს-უარყოფითი სისხლი არ წარმოადგენს ავადმყოფი ბავშვის დაბადების ფატალურ გარდუვალობას. ეს ეხება იმ დედებსაც, რომლებსაც წინა ორსულობები ჩაუტარდათ არაკეთილსასურველად.

დროული პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარების შემდეგ ყველა მოსალოდნელი გართულება თავიდან იქნება აცილებული.

**მ. მდინარაძე,**

**საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.**

# დავამშვენოთ ჩვენი ქალაქი

გარემოს სილამაზეზე დიდადაა დამოკიდებული ადამიანის შრომის ნაყოფიერება და გუნება-განწყობილება.

ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქალაქისა თუ სოფლის დეკორაციული მცენარეებით მორთვას.

თბილისელებს უყვართ მშობლიური ქალაქი, ხშირად გაიგონებთ მის მიმართ ნათქვამ ვრცელ, მაღალფარდოვან სიტყვებს. სჯობს კი სიყვარული საქმით გამოვხატოთ და ჩვენს სოფელს თუ ქალაქს ჩვენი ხელით დარგული ერთი ხე, ერთი ყვავილი მაინც შევმატოთ.

თანამედროვე ქალაქისა თუ სოფლის ლაზათს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენად გონივრულადაა იგი გამწვანებული, დეკორაციული ნარგავები და ყვავილები ჩვენი საცხოვრებელი მასივების მხატვრულ-არქიტექტურული ანსამბლის განუყოფელ ნაწილს უნდა შეადგენდეს.

ვინ არ იცის, რომ მცენარეები ადამიანის გამაჯანსაღებელია: სიცოცხლის, დღეგრძელობის, სისუფთავის, სიგრილის და შთაგონების უშრეტი წყაროა; იგი ასუფთავებს ჰაერს მტვრისგან და აზომიერებს ზაფხულისა და ზამთრის ტემპერატურას, ხელს უწყობს ჰაერის ნორმალური ტენიანობის შენარჩუნებას, მთა-ველიდან სუფთა ჰაერის შემოდენას, ასუსტებს ქარისა და ხმაურის სიძლიერეს, ამასთან ერთად ამშვენიერებს და ალამაზებს ადამიანის საცხოვრებელ გარემოს და საერთო ლანდშაფტს. საცხოვრებელი ბინების აივნების, ლოჯიების, ფანჯრის რაფებისა და საწარმო-დაწესებულებათა ოთახების, ანდა საამქროების სურნელოვან ვარდ-ყვავილებით, ხვიარა და ამპელის მცენარეებით გამწვანება დიდზე დიდი და სასარგებლო საქმეა.

ჩვენს ქალაქში ბევრი სახლი მოგტაცებთ თვალს. როგორ ამშვენებს მათ ფასადს გემოვნებით შერჩეული და შეხამებული მრავალწლოვანი და მარადმწვანე ხვიარა და ყვავილოვანი მცენარეებით შემკული აივნები, კედლები, სვეტები, კარისა და ფანჯრის ჩარჩოები. ყოველი მათგანი თავისებური მინიატურული პეიზაჟია. არ შეიძლება გულგრილად ჩაუაროთ, რომ არ შეჩერდეთ და მადლიერების გრძნობა არ აღგეძრათ იმათ მიმართ, ვინც ასე კოხტად რთავს თავის აივნებს.

აბა, ნახეთ რა შესანიშნავად აქვთ გაფორმებული აივნები და ეზოები მოქ. ბახტაძეს (ზაკომოლდინის ქ. № 15), დავითაშვილს (ბათუმის ქ. № 7), ლენინის ქ. № 59 სახლის მეათე სართულის აივანი ვეიჩის ვაზითაა გადაწითლებული. ყურადღებას იპყრობს მოქ. ხარაზოვის და იაქაშვილის ვარდნარი, ჟურნალისტ ვ. კიკნაძეს შეკრებილი აქვს კაქტუსებისა და სუკულენტების უმდიდრესი და იშვიათი კოლექცია. წულუკიძის ქ. № 5 სახლში მცხოვრებ მოქ. ხარაძის მინიატურული ყვავილნარი ფრიად ორიგინალურია. უამრავ მცენარეებს ამრავლებს მოქ. ტურაბელიძე (ხევძმარის ქ. № 34ა), საბადურის ქ. № 9 სახლის მცხოვრებ მოქ. შავაცკინას აქვარიუმი გამოირჩევა თავისი სიდიდით, ფლორითა და ფაუნით.

მეტად ლამაზია მხატვარ კობა გურულის ეზო.

ლამაზად გაფორმებული აივანი არა მარტო მობინადრეთა მაღალ კულტურასა და გემოვნებას ამჟღავნებს, არამედ მთელი ქალაქისა და ერის კულტურის მაჩვენებელიცაა.

ახლა მრავალსართულიანი და მაღალი შენობების აივნებზე აწყობენ მოგრძო ყუთებს, გეჯებს და კაშპოებს ყვავილების ჩასარგავად. არქიტექტორებმა და მშენებლებმა ამ მხრივ დროულად იზრუნეს და ბევრ აივანს მოაჯირზე მიამაგრეს სპეციალური თაროები. მაგრამ სამწუხაროდ, ხშირად ისინი გაუქმებულია და აივნები წლობით უყვავილოდაა. მათ გამწვანებაზე არ ფიქრობენ არც მობინადრეები და არც სახლმმართველები.

კაცის გემოვნებას, ხასიათსა და ბუნებას ისე მკვეთრად არაფერი გამოხატავს, როგორც მისი კარმიდამო.

თბილისის მწვანე ნარგავების მოსავლელად ერთსულოვნად უნდა დაირაზმოს ყველა მოქალაქე. ქუჩის ნარგავების მოვლა-პატრონობაზე შეფობა უნდა აიღონ მაღაზიებმა, საწარმო-დაწესებულებებმა და თვით მობინადრეებმა.

ზოგი ჩვენი ქართველი მოგზაური ხშირად მოწონებით იგონებს უცხოეთის, კერძოდ, ჩრდილოეთის ქალაქების გამწვანებას. გულნაკლულია, რომ თბილისში, ყვავილების და მზის ქვეყანაში, იგრძნობა სიმწვანის სიმცირე. თუ ყველა საცხოვრებელი სახლის აივანს ყვავილებითა და ხვიარა მცენარეებით მოვრთავთ, არ გვექნება სიმწვანის სიმცირე, მიმზიდველობასა და სილამაზეს შევმატებთ თბილისს.

ხშირად ჩივიან ხოლმე, სად უნდა შევიძინოთ ყვავილები, თესლი, კალამი, ნარევი მიწა, ჭურჭელი, კაშპო. მოგახსენებთ: ყოველივეს შეძენა შეიძლება საყვავილე და სახჯიშფონდის მეთესლეობის მაღაზიებში, გამწვანების სანერგეებში, სათბურებში, ბოტანიკურ ბაღებში, ბაზრებში. პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ყვავილების მოყვარული არასდროს ხელცარიელი არ წამოსულა ყვავილების მოყვარულისაგან. ისინი ერთმანეთს უნაწილებენ ახალ ჯიშებს.

ჟურნალი „ცვეტოვოდსტვო" ყოველ თვეში აქვეყნებს სანერგეების მისამართებს. ამავე ჟურნალში იბეჭდება მთელი საბჭოთა კავშირის ყვავილების მოყვარულთა მისამართები, რომლებიც უსასყიდლოდ უგზავნიან მოყვარულებს თავიანთ ჭარბ მცენარეებს.

**იველის ყოჩივარდა** — თბილისში ადრე გაზაფხულზე გასასყიდათ შემოაქვთ უამრავი ყოჩივარდა, შეცდომით ბევრი მას ია ეძახის. მისი ყვავილის დიამეტრი 1,5 სანტიმეტრია, აქვს მოლურჯო-მოწითალო ფერი, ტყავისებრი მუქი-მწვანე ფოთლები, ზედა მხარე ვერცხლისფერადაა მოხატული. შუა ზაფხულში მთლიანად ხმება. შემოდგომით კვლავ ივითარებს ახალ ფოთლებს და ყვავილის კოკრებს, ზამთრობს თოვლის ქვეშ, ადრე გაზაფხულზე კი აყვავილდება ხოლმე. მრავლდება, არც თუ ძლიერ ადვილად, პატარა ბოლქვებით, რომელსაც ზაფხულში რგავენ 5 სანტიმეტრის სიღრმეზე, ნოყიერ ნეშომპალიან მიწაში.

**ზიზილა** (Маргаритка) — მრავალწლიანი მცენარეა და გამოყენებულია ადრეული ყვავილნარებისათვის. ზიზილა ისხამს ბუთხუზა ყვავილებს, არის თეთრი, პირისფერი ან წითელი ფერის. სიმაღლით აღწევს 15 სანტიმეტრს. მას ამრავლებენ თესლით ან დაყოფით. ითესება ივნის-ივლისში კვალში, ამონაცენი მოისხოვს გადარგვას, ზამთარში — ცივქარიან ადგილებში — დათბუნებას. ყვავილების სიდიდის გამო ზიზილებს რგავენ ერთმანეთისაგან 10-15 სანტიმეტრის დაშორებით.

**ია სამფერი, ია ფუჩუნა** — ესეც ადრე მოყვავილე მცენარეა. ყვავილები მრავალნაირი შეფერვისა აქვს: თეთრი, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, მოშავო, ორფერი და სხვა, გოფრირებული გვირგვინის ფურცლები. თესავენ ივლის-აგვისტოში. შემოდგომამდე ერთხელ გადარგავენ და კარგადაც ხარობს და ზამთრობს. მცენარე 10-25 სანტიმეტრის სიმაღლის იზრდება. ზოგიერთი ახალი ჯიშის ყვავილების დიამეტრი 5-10 სანტიმეტრს აღწევს.



ჩვენი მადლიანი მიწა, როგორც კი მოიხსნის თოვლის საბურველს, უმალ თვალს ახელენ გაზაფხულის პირველი ყვავილები, რომლითაც იფარება მინდორ-ველი. ამ პერიოდში შესანიშნავად ყვავილობენ: ცისთვალა, ყაზახა, ფურისულა, ხარისძირა, ნარგიზი, თეთრყვავილა, ფრინტა, ზაფრანა, ენძელა, ბუჩქისძირა, ჰყანტა, ცხვირისატეხელა, ზიზილა და სხვა. მათი უმრავლესობა ბოლქვიანი მცენარეებია. ეს ყვავილები ღია ნიადაგში ზამთრობენ. აივანზე რომ იყვავილონ, საჭიროა გადმოირგას შემოდგომაზე, რისთვისაც არა მარტო ცოდნა, დრო და მოთმინებაა საჭირო, არამედ — ფანტაზიაც.

საჭიროა მათი სიმაღლის, ყვავილის ფორმისა და ფერის მიხედვით ჰარმონიული შეხამება. სასურველია ნიადაგს ზემოდან მოეყაროს ტორფის ფხვნილი, რომლის მუქ ფონზე ეს ყვავილები ეფექტურად გამოიყურებიან. შედარებით მაღალი ყვავილებისათვის ფონად კარგია დაბალი კლდის დუმა.

**ფურისულა** — მრავალფეროვანი ყვავილებისა და ადრე ყვავილობის გამო საუკეთესო მცენარედ ითვლება.

საქართველოს მთასა და ბარში უხვად არის წარმოდგენილი მისი სხვადასხვა სახეობა. მეტად ლამაზია იისფერ-წითელყვავილებიანი იულიას ფურისულა, რომელიც ჩვენს მეყვავილეობაში სამწუხაროდ ნაკლებადაა გამოყენებული, უცხოეთში კი იგი პირველხარისხოვან სიახლედ ითვლება.

ფურისულას ყვავილები დათითოებულია ანდა ქოლგისებრ მტევნებადაა შეკრული. იგი დაბალი მცენარეა (30-50 სანტიმეტრი), ყვავილი ცალ-პირი ან ბუთხუზა აქვს. ფერად წითელი, თეთრი, ყვითელი, იისფერი, ცისფერი, ან მრავალნაირად დაჩითულია. ფურისულას ფოთლების შეხება იწვევს კანის გაღიზიანებას, ამიტომ შეხების შემდეგ ხელი საპნით უნდა დავიბანოთ.

ეს ლამაზი ყვავილი კარგად ზამთრობს და საუკეთესოდ ყვავილობს ადრე გაზაფხულზე. ადვილად მრავლდება თესლით, კალმით და დაყოფით. თუ ოთახში ნოემბერ-დეკემბერში ყუთებში დათესავთ (10-15 დღეში აღმოცენდება) და ოთახშივე გადარგავთ, ადრე გაზაფხულზე იგი აივანზე აყვავილდება.

მცენარე მოითხოვს ხშირ რწყვას, ნოყიერ, ნეშომპალას ნარევ მიწას და ნახევრად დაჩრდილულ ადგილს. ფურისულებს ერთმანეთისაგან 15-20 სანტიმეტრის დაშორებით რგავენ.

**იელი** — ინდური, ჩინური და იაპონური წარმოშობის მარადმწვანე მცენარეა. ჩინური ფოთოლმცვენი იელი ლამაზი და უხვად მოყვავილე მერქნიანი, ან დაბალღეროიანი ბუჩქია. სელექციის შედეგად ფორმისა და შეფერვის (თეთრი, წითელი, ყვითელი, ვარდისფერი და სხვა) მიხედვით ყვავილის მრავალი ჯიშია მიღებული. არის როგორც ცალპირა, ისე ბუთხუზაყვავილებიანი ფორმები. ოთახის პირობებში ყვავილობს ზამთარში, აივანზე კი — ადრე გაზაფხულზე.

კარგად მრავლდება კალმით, ნახევრად გამერქნებულ 6-8 სანტიმეტრის სიგრძის კენწეროიან ტოტებს აკალმებენ მაისსა და ივნისში. კალამს ქვედა ფოთლებს აცლიან და 1/3-ის სიღრმეზე რგავენ ნეშომპალისა და ქვიშის ნარევში. რწყავენ თბილი წყლით, ზემოდან ახურავენ ქილას.

18-20 გრადუს სითბოს პირობებში იელი 1-1,5 თვეში დაფესვიანდება და მაშინვე იწყებს ყვავილობას. დაფესვიანებული მცენარე შეიძლება გადაირგას როგორც ქოთანში, ასევე აივნის გეჯაში; მიწა უნდა იყოს ნაკელის, ტორფის, ნეშომპალას, სილის და ცოტა ყამირნარევი. მოითხოვს ოდნავ ჩრდილიან ადგილს, ხშირ რწყვასა და შეპკურებას. სასურველია თვეში ორჯერ მოირწყას წუნწუხით.

**ქართული ზამბახი** — მრავალრიცხოვან ზამბახების სახეობათა შორის ქართული ზამბახი ერთ-ერთი ორიგინალური და ულამაზესი მცენარეა. ძველად საქართველოდან უცხოეთის მეყვავილეობის ფირმებს იმდენი ზამბახი გაუზიდავთ, რომ იგი განადგურებამდე მიუყვანიათ. ზამბახის გვარი ყვავილის ფერისა და ფორმის მიხედვით მეტად მდიდარია. ადვილად მრავლდება ფესვების დაყოფით და თესლით. მცენარე, რომ არ დაკნინდეს, კარგია მისი 2-3 წელში ერთხელ გადარგვა და ნიადაგის განახლება.


ირ. ხმალაძე,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.



ყდის პირველ გვერდზე — დოდო კვარაცხელია ენგურჰესის კაბელ-ამწის ოპერატორი; მეოთხე გვერდზე — ნორჩი მოჭადრაკე, სპორტის ოსტატი მაია ჩიბურდანიძე. დ. იაკობაშვილისა და გრ. სეირანიანის ფერადი ფოტოები.



რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურჯანაძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ძ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა



საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 17/I-74 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/III-74 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3, ტირაჟი 125.000. შეკვ. 240 უე 01665 ფასი 80 კაპ.

# შეკერეთ თქვენ თვითონ





ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178